ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ.Პ.(Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Კ-ᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲐᲙᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 15 ᲛᲐᲘᲡᲘ 1937 ᬋ. № 109 (4910)

დღეს ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქში იხსნება საქ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობა.

ყრილობის დელეგატებს — პარტიის ნდობით აღჭურვილებს — კომუნიზმის მოწინავე პოზიციებზე მებრძოლებს — ჩვენი მხურვალე ... ბოლშევიკური სალამი!

ნახატი მხატვარ პ. ჩხაიძისა

წინ, ლენინ-სტალინის დროშით!

დიდმა სტალინმა ჩაუყარა საფუძველი ბოლშევიზმს საქართველოში. საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) გამოიჭედა, გამოიბრძოლა და მისი გენიოსი შემქმნელის, დამაარსებელის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე. იგი ღირსეულად ატარებს ლენინ-სტალინის საბრძოლო დროშას.

ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკური პარტია შესანიშნავი წარმატებებით, ბრწყინვალე მიღწევებით მოდის დღეს თავის X ყრილობაზე. უკანასკნელი 5-6 წელი მთელი ეპოქაა საქართველოს პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების, საქართველოს ხალხთა ცხოვრებაში. მხოლოდ ის ფაქტი, რომ X ყრილობა არის ლენინის ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ყრილობა, განა არ მოწმობს ისტორიული მასშტაბის გამარჯვებებს უკანასკნელ პერიოდში? — უდავოდ, უსათუოდ! მოკლე მანძილი, რომელიც პარტიის IX ყრილობას გვაშორებს, დატვირთულია წარმატებით შინაარსით.

საქართველო უკვე აღარ არის ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა. იგი ინდუსტრიულ - აგრარული რესპუბლიკაა. მთელ სახალხო მეურნეობაში სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონა 71 პროცენტს შეადგენდა შარშან. აშენდა და შენდება ახალი ფაბრიკები, ქარხნები, ინდუსტრიული წარმოების შესანიშნავი გიგანტები. ჯუღელის ფერო-მარგანეცის ქარხნით ამაყობს მთელი საბჭოთა კავშირი. ოდესლაც წვრილბურჟუაზიულ - მეშჩანური ქუთაისი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი გახდა. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქცია უფრო და უფრო ღრმავდება. ჭიათურის სახელოვანმა მაღაროელებმა, პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით, მოგვცეს შრომის გმირობის, სიმამაცის ნიმუშები.

თბილისი, ეს პროლეტარულ რევოლუციამდე ვაჭრობა-ვაჭრუკანობისა და ბიუროკრატიულ - ადმინისტრატიული ცენტრი, საგრძნობლად გამოიცვალა: ველარ იცნობთ მის ბრწყინვალე მოასფალტებულ, გაგანიერებულ ქუჩებს ახალი ჯა რეკონსტრუირებული სახლებით, ახალი საწარმოებით, ფაბრიკებით, ქარხნებით. ბათუმი, ფოთი, სოხუმი მუქჩურად კიაფობენ შავი ზღვის ნაპირებზე. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯებია, მაგრამ ნაბიჯები მტკიცე და გაბედული. აქ ჩვენი ამოცანები პირდაპირ გრანდიოზულია.

საკოლმეურნეო წყობილება საბოლოოდ გამარჯვებულია, განმტკიცებულია. საქართველოს სასოფლო მეურნეობა 75 პროცენტით კოლექტივიზებულია. ახალ - ახალი კულტურები დაინერგა და ინერგება. ჩაი გახდა სუბტროპიკული რაიონების შეძლებულობის მთავარი წყარო. საქართველოს ჩაით და ციტრუსოვანთა ნაყოფით მშვენდება საბჭოთა კავშირის მშრომელთა სუფრა. მომდინარე წელს ჩვენ უნდა მივცეთ სოციალიზმის ქვეყანას ნახევარი მილიარდი ციტრუსი. მტკაცეც აღმავლობის გზით მიდის სოციალისტური მეცხოველეობა. წარმატებით ვითარდება ბრძოლა მაღალი მოსავლიანობისათვის. ჰურის მომხმარებელი რაიონიდან საქართველო სულ მოკლე ხანში უნდა გადაიქცეს ჰურის მწარმოებელ რაიონად.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა განუხრელად იზრდება.

მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, სწავლა - განათლების ფრონტზე დიდ მიღწევებზე ყველაზე უკეთ მეტყველებენ ორდენები, რომლებიც ამ ფრონტის დაწესებულებებსა და მოწინავე მუშაკთა მკერდს ამშვენებენ.

გამოიზარდა და იზრდება სოციალიზმის ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეო სოფლის ბოლშევიკური კადრები. ვითარდება სტახანოვური მოძრაობა, ტექნიკური სწავლება, მუშათა მასები უფრო და უფრო ეუფლებიან საბჭოთა ტექნიკას. ტრაქტორისტები, კომბაინერები, მოფერები, აგრო-ზოოტექნიკოსები — ეს ხომ ახალი სოფლიდან გამოსული გუშინდელი „ბიჭები“ არიან! კადრები იზრდება რესპუბლიკის სოციალისტური საწარმოო ძალთა სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით.

რისი შედეგია ყველაფერი ეს? ისტორიას თვითონ ადამიანები ქმნიან! საქართველოს ხალხთა სახელოვანი საბჭოთა ისტორია იქმნება თვით საბჭოთა ხალხის ხელით. საქართველოს ხალხი სამუდამოდ, უკუღმასკენ, გაბედულად დგას პროლეტარიატის დიქტატურის, ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ. წყეული მენშევიზმი, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, ნაციონალ - უკლონიზმი კონტრრევოლუციური ტროცკიზმი და მრავალი ბინძური „იზმი“ ულმობელად განადგურებულია, ხალხის მტრები — სისხლიანი ტროცკიზმის ყურ-კუდ მოჭრილი ჭოფაკები (მდივანი, ტოროშელიძე, ოკუჯავა, ქავთარაძე და სხვები) გამომზეურებული და ნიღაბახდილი არიან. საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტური პარტია რიგებშემჭიდროვებული, რკინის რკალად შეკრული, ერთიანი ნებისყოფით გამსჭვალულია, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ფოლადის საყრდენად გადაქცეულია ისე, როგორც არასოდეს.

ორდენოსანი საქართველოს ყველა მიღწევის „საიდუმლოება“ ამაშია სწორედ: დიდი სტალინის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი საქართველოს კომუნისტური პარტია სწორად, სტალინურად მეთაურობდა და მეთაურობს საქართველოს ხალხთა გმირულ ბრძოლას სოციალიზმის ფრონტზე.

დიდი სტალინი მამობრივი მზრუნველობით, გულმხურვალე ყურადღებით ეპყრობოდა და ეპყრობა საბჭოთა საქართველოს. მშობლიური ბელადის უშუალო მითითებებითა და ხელმძღვანელობით გადაიშალა გიგანტურ მშენებლობათა რუკა საქართველოში. დიდი ბელადის მიერ დაყენებულ გრანდიოზულ ამოცანებს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ღირსეულად უპასუხეს და უპასუხებენ მომავალშიაც.

დაინერგა მუშაობის სტალინური სტილი. ძირფესვიანად გამოსწორდა ძველი, უხერხემლო პარტიული ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები. ოპერატიულობამ და კონკრეტულობამ შესცვალა „აზნაურული ლაყბობა“ და დოყლაპიობა.

ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ, — ლენინ - სტალინის პარტიის ამ ერთგულმა შვილმა, — სტალინურად ძოძრთა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების საჭე და უზრუნველჰყო პარტიისა და ხალხის სახელოვანი გამარჯვება. პარტიული ორგანიზაციების X ყრილობაც არის გამარჯვებულთა ყრილობა.

უდიდესი ახალი ამოცანების წინაშე დგას საქართველოს პარტიული ორგანიზაცია. დიდი ბელადის მითითებანი ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე წარმოადგენენ გაშლილ საბრძოლო პროგრამას ჩვენი მუშაობის მთელი პერიოდისათვის. სტალინური კონსტიტუციით გამოწვეული პოლიტიკური მობრუნება სოციალიზმის ქვეყნის ცხოვრებაში მეტად სერიოზული ამოცანაა, ის სერიოზული პოლიტიკური გამოცდაა ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა. ახალი წესით ჩატარება საბჭოთა არჩევნები. აქ უნდა გამოჩნდეს ჩვენი უნარიანობა და მზადყოფნა ბელადის დირექტივათა შესრულებისათვის.

სანიმუშოდ უნდა დამუშავდეს მესამე ხუთწლედის საკითხები, შესდგეს საქართველოს სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ახალი ხუთწლიანი გეგმა. ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის გაუქმების შემდეგ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს პარტიის მუშაობა ლენინურ - სტალინური ინტერნაციონალიზმის შემდგომი განმტკიცების მიმართულებით. ღირსეულად, სახელოვნად უნდა შესრულდეს მომდინარე სამეურნეო წლის გეგმები.

ყველაფერი ეს მოითხოვს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ძირეულად გარდაქმნას ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე. ეს მოითხოვს საქართველოს ხალხების რკინის კოჰორტად, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას ლენინ-სტალინის საბრძოლო დროშის გარშემო.

მეჯი წესრიგი და ორგანიზებულობა პარჭკონფერენციებზე

„პრავდის“ ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილა მასალები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ცალკეულ პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე ფორმალურად და ზერელედ უდგებიან დემოკრატიის გატანას. იმ არაორგანიზებულობიდან, უწესრიგობიდან, რომლებიც თან სდევდა ბევრ კრებას არჩევნების პირველ ეტაპზე, თითქოს დიდიხანია დროა გამოტანილ იქნას გაკვეთილები. მაგრამ აი უკვე თვენახევარია მიმდინარეობს არჩევნები და მოიპოვებიან პარტიული ხელმძღვანელები, რომელთაც ვერაფერი ისწავლეს.

წინადადებურად ზოგიერთ კრებაზე და რაიონულ კონფერენციებზეც კი არ იგრძნობა პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობა. წინადადებურად არაორგანიზებულად წარმოიყვირებენ ხოლმე კანდიდატურათა გვარებს; ხშირად ისიც კი არ არის გამორკვეული, თუ ვინ წამოაყენა ესა თუ ის კანდიდატურა. შედეგად ვღებულობთ უზარმაზარ სიებს, რომელთაც კვირაობით იხილავენ.

არჩევნებისადმი მხოლოდ სრული ინდიფერენტული დამოკიდებულებით რიბინსკის საქალაქო კომიტეტის მხრივ შეიძლება აიხსნას თავისებური რეკორდი, რაც დაამყარა რიბინსკის პავლოვის სახ. ქარხნის პარტორგანიზაციამ, რომელიც მთელ თვეს იჯდა თავის საარჩევნო-საარჩევნო კრებაზე! ყველაზე უფრო აქტიური, მაშასადამე, ქარხნისათვის, ყველაზე უფრო საპირო ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი მთელ თვეს კრებაზე იჯდა. თუ ვიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ პარტიული კრების მეტისმეტი არაორგანიზებულობის შედეგად სერიოზულად დაზარალდა წარმოების ინტერესები დიდ ქარხანაში, სრულიად უსაფუძვლოდ წაერთვათ ადამიანებს დრო, რომელშიც საწარმოო იხდის ფულს.

ბევრი რაიონული კონფერენციის სხდომები 10-15 დღეს გრძელდება. სხდომები მიმდინარეობს დილიდან საღამომდე. ადამიანები, რომლებიც უნდა იყვნენ წარმოებაში, მართავდნენ ქარხნებს, დაწესებულებებს, ხელმძღვანელობდნენ თესვას და სხვა გადაუდებელ საქმეებს, ხანგრძლივი დროით სწყდებიან თავის უშუალო საქმეს. საქმე იქამდე მიდის, რომ აქაოდა, მაგალითად, ტაკენტში, კონფერენციის დროს დაწესებულებანი არსებითად იხურებიან. მიმსვლელთ არ შეუძლიათ მიიღონ პასუხი მათთვის საინტერესო კითხვებზე. ასეთ უმსგავსოებაზე უფრო შორს წასვლა შეუძლებელია!

ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველჰყონ კონფერენციების დროსაც დაწესებულებათა და საწარმოთა ნორმალური მუშაობა. ყოველად დაუშვებელია, როდესაც კონფერენციას დილიდან შუადამემდე აქვს სხდომები 10-15 დღის განმავლობაში და ადამიანები სრულიად ივიწყებენ თავის სამუშაოს წარმოებაში.

თვითონ დელეგატები ჩივიან, რომ კონფერენციებისადმი ცუდი ხელმძღვანელობა იწვევს ძვირფასი დროის ფლანგვას. უნდა ვისწავლოთ დროს დაფასება სოციალიზმის ქვეყანაში. ეს შეეხება ყოველგვარ სხდომებს და განსაკუთრებით ისეთ სხდომებს, რომლებიც კვირაობით გრძელდება. დაუსრულებელი კრებები, კონფერენციები აიხსნება მხოლოდ პარტიული ხელმძღვანელების ინდიფერენტული დამოკიდებულებით არჩევნებისადმი. პრეზიდიუმის არჩევნები ხშირად წარმოადგენს დემოკრატიის შერყვნის ნიმუშს. თუ, მაგალითად, საჭიროა 15 კაცის არჩევა პრეზიდიუმში, ამას ზოგჯერ მთელ დღეს ანდომებენ. ვისთვის არის სასარგებლო ასეთი ფორმალური, ზერელე მიდგომა დემოკრატიის დაცვისადმი?

როგორც პრეზიდიუმში, ისე რაიკომის შემადგენლობაში ასარჩევ კანდიდატებზე მსჯელობა აქა-იქ ისეთ რამედ იქცევა, რაც პარტიის წევრებს მოგვაგონებს ადამიანები საათობით და უფრო მეტ ხანს მოუთხრობენ დამსწრეთ თავის ბიოგრაფიას. თხრობას იწყებენ კინაღამ პაპა—პაპიდან და შერე ისე აუჭრელებლად ლაპარაკობენ თითქმის თვეობის მიხედვით თავის ცხოვრებასა და მუშაობაზე, რომ სრულიად არ უწევენ ანგარიშს დიდი კრების დროს. დნეპროპეტროვსკის ოლქში ბერეზნიკის სახ. ქარხნის რაიონული კონფერენცია ათ დღეზე მეტ ხანს გაგრძელდა მხოლოდ იმიტომ, რომ ცალკეული „კანდიდატურათა განხილვისას კონფერენცია იქცეოდა თავისებურ დიდ გამწმენდ კომისიად. მაგალითად, ამ კონფერენციის მონაწილენი ორ დღეს იხილავდნენ კომუნისტ კლიმენკოს კანდიდატურას. საჭირო გახდა რაღაც ცნობები. კონფერენციის ერთერთი მონაწილე ამ ცნობებისათვის მიავლინეს სხვა ქალაქში. კონფერენცია კი არა, საგამომძიებლო ორგანო!

ბევრ კონფერენციაზე პრეზიდიუმი ინდიფერენტულად ზის, თითქოს ფორმისათვის: რაკი აგვირჩიეს, უნდა ვისხდეთო. ზოგიერთ პარტიულ ხელმძღვანელს არ ესმის, რომ წესრიგი, დისციპლინა კრებაზე კი არ ბღალავს კომუნისტების უფლებებს, არამედ, პირიქით, ეხმარება კრებას ორგანიზებულად გამოავლინოს თავისი ნებისყოფა. ვინაიდან როგორ შეიძლება გამოვლინებულ იქნას კომუნისტების ნებისყოფა, როდესაც სხდომის დარბაზში ხმაურობაა, თუ უპასუხისმგებლოდ იძლევიან რეპლიკებს, იძლევიან კითხვებს. კერძოდ, იძლევიან ისეთ კითხვებს, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ კომუნისტის საქმიან და პოლიტიკურ კვალიფიკაციასთან.

საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

ყრილობა იხსნება დღეს, 15 მაისს, საღამოს 6 საათზე რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში

მანდატების გაცემა სწარმოებს საღამოს 5 საათამდე საორგანიზაციო კომისიის ბინაზე—ჩიტაძის ქუჩა, № 9 (საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შენობის პირდაპირ). ტელეფონი: 8—66—20.

საორგანიზაციო კომისია

ნიჭიერი ხალხის ნიჭიერი ხელმძღვანელი

ამხანაგ სტალინის სახელოვანი სახელი ჩვენ ყოველთვის ვიხსენიებთ ერთად ამხანაგ ორჯონიკიძის სახელთან. ეს ორი სახელი ერთმანეთთან ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომ ერთის ხსენებისას მეორეც ვარდებათ: ან მთელ საქმეს თვითდინებას ანდობენ ანდა ხელს ჰკიდებენ ხელმძღვანელობას მკაცრად დაგმობილი მეთოდებით. მზის სინათლეზე გამოაქვთ ისეთი „მეთოდები ხელმძღვანელობისა“, როგორიცაა პრეზიდიუმში ასარჩევ კანდიდატთა სიების შედგენა კონფერენციის დაწყებამდე. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ოდესის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელები, რომლებმაც წინასწარ დასახეს 25 კაცისაგან შემდგარი სია და დარიგებულ ადამიანთა საშუალებით ნაწილ-ნაწილ სთავაზობდნენ მას კრებას. ზედმეტიცაა ლაპარაკი, რომ ეს უალრესად უხეში დარღვევაა ც. კ-ის მითითებებისა დახურული არჩევნების ჩატარების შესახებ. ამგვარი ფალსიფიკაციებით არ შეიძლება შეიცვალოს კრების ორგანიზებული ხელმძღვანელობა!

უხელმძღვანელო არჩევნებს — ნიშნავს სერიოზულად, საქმიანად მოაწყო კრების, კონფერენციის მუშაობა. ეს ნიშნავს—ხელი აიღო თავისებურ ნეიტრალიტეტზე და დაეხმარო კრებას დაკვირვებით შეარჩიოს და ფარული კენჭისყრით აირჩიოს საუკეთესო, პოლიტიკურად უმწიკვლო ადამიანები პარტიულ ორგანოებში. უხელმძღვანელო — ნიშნავს ზუსტად დაიცვა ც. კ-ის მითითებანი, შეაფასო პარტიული დემოკრატიის განუხრელად გატარება წესრიგთან და დისციპლინასთან კრებებსა და კონფერენციებზე. ამით სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული პარტიული მასები. ამაშია საწინდარი იმისა, რომ პარტიულ ორგანოებში არჩეულ იქნებიან ნამდვილად ნდობის ღირსი კომუნისტები. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთგული ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ გასწიონ პარტიული მუშაობა ახალ პირობებში.

„პრავდის“ სარედაქციო სტატია, 11 მაისს

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(საქართველოს ლეგიონერთა საბჭოს მიერ პარიზიდან და ლონდონიდან მილებული ცნობების მიხედვით)

ბისკაის ფრონტი

ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტი ბილბაოდან 12 მაისს ღამით დეპეშით იუწყება, რომ მეამბოხენი ხუთკვირ გადმოვიდნენ შეტევაზე რესპუბლიკელთა პოზიციების წინააღმდეგ სოლოუეს მთის რაიონში. რესპუბლიკელებმა ყველა იერიში მოიგერიეს და მეამბოხეებს დიდი ზარალი მიაყენეს. შემდეგ ბრძოლა შესწყდა, რაც, ალბათ, დიდხანს არ გაგრძელდება, ვინაიდან მეამბოხენი თავს უყრიან ამ რაიონში თავის ჯარებს.

ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობებით, 11 მაისიდან ბრძოლები სწარმოებს ვისკარგის მთასთან. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელებმა დიდი ზიანი მიაყენეს მეამბოხეებს, უკანასკნელნი ძალიან ცდილობენ ამ მთის დაპყრობას. 12 მაისს მთის მწვერვალი გადადიოდა ხელიდან ხელში. დროდადრო ბრძოლა იღებდა ხელჩართული შეტაკების ხასიათს. 12 მაისს დილით მეამბოხეთა ავიაციამ მოახდინა ბომბარდირება, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა საარტილერიო სროლა. შუადღისათვის ახალი ბრძოლის შედეგად რესპუბლიკელებმა აიღეს მთის მაღლობი, ინგლისის პრესას მოჰყავს ბილბაოდან გადმოცემული ცნობები, რომლების თანახმად ბასკთა არმიამ შეაჩერა მეამბოხეთა წინსვლა 19 კილომეტრზე ბილბაოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ესპანეთ სააგენტოს კორესპონდენტი, რომელმაც დაპყრობილ სოფელ ამორებიეტში იუწყება, რომ ეს სოფელი ყველავინდებურად რესპუბლიკელთა ხელშია. გუშინ ამორებიეტსა და ამ სოფლიდან ბილბაოსაკენ მიმავალ გზას ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა ავიაციამ. ფაშისტთა 8 თვითმფრინავი დაბლა მიფრინავდა და ყუმბარებსა და ტყვიამფრქვევებს უშენდა სამოქალაქო მოსახლეობას. დურანგოს რაიონში ხდება მეამბოხეთა ძალების კონცენტრაცია. ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკელთა ჯარების მორალური მდგომარეობა როგორც წინა პოზიციებზე, ისე ზურგშიაც საუცხოოა.

ცენტრალური ფრონტი

როგორც ჰავასის სააგენტო მადრიდიდან გადმოგვცემს, ტოლედოს ფრონტზე, სადაც გრძელდება რესპუბლიკელთა ჯარების შეტევა არხეს-ტოლედოს გზის დასავლეთით, რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა 30 საბარგო ავტომობილისაგან შემდგარ კოლონას, რომლებსაც გადაჰყვადათ მეამბოხეთა ჯარები.

კორდოვის ფრონტზე

ესპანეთის სააგენტოს კორესპონდენტი ანდუხარიდან გადმოცემული დეპეშით იუწყება, რომ რესპუბლიკელთა ავიაციამ კვლავ დაუშინა ყუმბარები სამხედრო ობიექტებს მონტოროში (40 კილომეტრზე კორდოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით). უკანასკნელ დღეებში რესპუბლიკელთა თვითმფრინავების მიერ ყუმბარების დაშენის შედეგად მოსპობილია საიარაღო და ელექტრომეტალურგიული ქარხნები მონტოროში.

კატალონიის მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლათა მონაწილეების დაპატიმრება

ვალენსია, 13 მაისი (საქდესი). არსებული ცნობების თანახმად, ბარსელონის საპყრობილეებში იმყოფება 240 პატიმარი, რომლებიც შეპყრობილი არიან კატალონიის მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლათა მონაწილეობისათვის.

ესპანეთში გერმანიისა და იტალიის ინტერვენციის დოკუმენტთა გამოფენაზე

პარიზი, 12 მაისი (საქდესი). გუშინ გაიმართა კრება დოკუმენტთა გამოფენის სადგომში, რომლებიც იძლევიან ესპანეთში ფაშისტური ინტერვენციის ილუსტრაციას; კრებას დაესწრნენ პარიზის დიპლომატიური და ლიტერატურული წრეების წარმომადგენლები. პრეფესორი ბაიე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ იტალიისა და გერმანიის ... [illegible] თვით საფრანგეთის ინტერესთა საზიანოდ.

შემდეგ სიტყვა აიღო პოლ-ბონკურმა და განაცხადა, რომ გამოფენაზე თავმოყრილი დოკუმენტები საკმაოზე მეტიც არის იტალიისა და გერმანიის აგრესიის დასამტკიცებლად. მან ილაპარაკა ჩაურეველობის კომიტეტის სისუსტესა და პასიურობაზე და განაცხადა, რომ ესპანეთის პრობლემას შეეძლო მიეცა ერთა ... [illegible] დგენის შესაძლებლობა.

ვოწოდება ესპანეთის ახალგაზრდობის გაერთიანებისაკენ

ვალენსია, 13 მაისი (საქდესი). კატალონიის უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის ფედერაციის აღმასკომმა მიმართა ანარქისტული ახალგაზრდობის სრულიად-ესპანეთის კომიტეტს. ღია წერილით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ახალგაზრდობას არ შეუძლია უყურადღებოდ დასტოვოს ეს ფაქტები და არ გამოიტანოს იქიდან საჭირო გაკვეთილები. გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობა, ნათქვამია შემდეგ წერილში, ფიქრობს, რომ ესპანეთის მთელი ახალგაზრდობის გაერთიანების საკითხთა განსახილველად.

კატალონიის მთავრობა იარაღს არ ჰყრის

ტოკიო, 13 მაისი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, 12 მაისს სეიუკაის პარტიის სამდივნომ გადასწყვიტა დადებითად გამოეხმაურო მინსეიტოს პარტიის ხელმძღვანელობის ყოველგვარ წინადადებას, რომელიც შეეხება „ორივე პარტიის საერთო ძალ-ღონით ბრძოლას ხაიასის მთავრობის გადადგომის დასაჩქარებლად“. 14 მაისს შესდგება სეიუკაისა და მინსეიტოს პარტიების მთავარი მდივნების პირველი თათბირი.

მიუხედავად იმისა, რომ მინსეიტო და სეიუკაი ემზადებიან საერთო გამოსვლისათვის ხაიასის მთავრობის წინააღმდეგ, მთავრობა როგორც ეს ხაიასის მიერ 12 მაისს იაპონიის ჟურნალისტებისადმი მიცემული ინტერვიუდან სჩანს, ჯერ სრულიადაც არ ფიქრობს გადადგომას. ხაიასი ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ჯერ მხოლოდ ვიცით 30 აპრილის საპარლამენტო არჩევნების რაოდენობითი შედეგები. ხარისხობრივი შედეგები კი საგანგებო სესიაზე უნდა შევამოწმოთო“. თვით ის ფაქტი, რომ უმრავლესობა ქვედა პალატაში ეკუთვნის მინსეიტოსა და სეიუკაის, სთქვა შემდეგ ხაიასიმ, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მთავრობა აუცილებლად უნდა გადადგეს. დომეი ცუსინის სააგენტოს სტატიით, ხაიასიმ დაადასტურა, რომ კაბინეტი ამზადებს საარჩევნო კანონის რეფორმას.

საარჩევნო კანონის შეცვლა, გაზეთი „იომიურის“ სიტყვით, ითვალისწინებს ქვედა პალატის წევრთა რიცხვის შემცირებას. საარჩევნო ოლქების გადიდებას დღევანდელი ოლქების შეერთების გზით და მთავრობის უფრო აქტიურ მონაწილეობას არჩევნების გატარებაში. გაზეთი განმარტავს, რომ მთავრობის გადაწყვეტილება საარჩევნო კანონის რეფორმის შესახებ ნაკარნახევია მისი მისწრაფებით დაიმკვიდროს სამხედრო ხელისუფალთა მოწიწება.

○ ◇ ○

ინგლისის გაფრთხილება

შანხაი, 12 მაისი (საქდესი). გაზეთი „შუნბაო“ აღნიშნავს, რომ იაპონია განაგრძობს თავისი აგრესიის განვითარებას ჩრდილო და სამხრეთ-ჩინეთში. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ეს არა მარტო არღვევს ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ მძიმე ლახვარს სცემს ბრიტანეთის ინტერესებსაც. გაზეთი აფრთხილებს ინგლისს და აღნიშნავს, რომ თუ ინგლისი გარიგებას მოახდენს იაპონიასთან, ეს ჩინელი ხალხის დიდ აღშფოთებას გამოიწვევსო.

გაზეთი „დიბაო“ ახასიათებს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას როგორც ყოყმანისა და დაყოვნების ჯაჭვს და აცხადებს, რომ ეს აძლიერებს ფაშისტური ქვეყნების პოზიციებს და საფრთხეს უქმნის ინგლისის კოლონიურ სამფლობელოებს ამ ქვეყნების მხრივ. „თუ ყოყმანის პოლიტიკა გაგრძელდა,—სწერს გაზეთი,—ინგლისს შეებნელი პერსპექტივები მოელის“.

○ ◇ ○

უცხოეთის ქრონიკა

○ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკაში და კუბაზე კუბაზე არსებობს ესპანეთის ფაშისტთა დიდი ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელიც მეამბოხეებს აწვდის ცნობებს. ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის გეშების მიმოსვლის შესახებ.

○ სამხრეთ-კალიფორნიაში, ლოსანჯელესის რაიონში სწარმოებს საიდუმლო საპაერო მანევრები, რომელშიც მონაწილეობას იღებს ამერიკის შეერთებული შტატების 350 თვითმფრინავი.

○ გაზეთების ცნობით, მოსალოდნელია ინგლისის მაღაროელთა საყოველთაო გაფიცვა 29 მაისს.

○ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო და ჩეხოსლოვაკიის ელჩი რომში ხვალ-ზეგ ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც წესდებათ საპაერო მიმოსვლა იტალიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის, პირველ რიგში პრაღა-რომის ხაზზე.

○ გერმანიაში აგროვებენ ახალგაზრდებს სხვადასხვა სახეობის ჯარში მოსამსახურებლად. შესასწელად. ახალგაზრდობას ეგზაკუთრებით მოუწოდებენ შეიდეს საშეხედრო-საჰაერო და საზღვაო ფლოტში.

საბჭოთა კავშირში

გელოტრუსიის კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობა მუშაობას ათავებს 10 ივნისისათვის

მინსკი, 13 მაისი. (საქდესი). ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ბელორუსიის კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობა მოწვეულია 1937 წლის 10 ივნისისათვის. ყრილობის დღის წესრიგშია: ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მომხსენებელი ამხ. ... [illegible] სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი ამხ. კუდელკა, ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის გახსნის პირველი წლისთავი

მოსკოვი, 14 მაისი (საქდესი). 15 მაისს სრულდება ერთი წელი ამ შემდეგ, რაც გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი, რომელიც შექმნილია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხანაგ სტალინის ინიციატივით. ათასობით მუშები და კოლმეურნეები ქვეყნის ყოველი კუთხიდან ყოველდღე მოდიან აქ, რათა გაეცნონ მშრომელთა გენიალურ ბელადის ცხოვრებას და ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ისტორიას. წლის განმავლობაში ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმი დაათვალიერა 1.200 ათასზე მეტმა კაცმა, მათ შორის 100 ათასზე მეტმა პარტიულმა მუშაკმა და პროპაგანდისტმა.

წელს გაიხსნება ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალები ლენინგრადსა, კიევსა და თბილისში.

ამჟამად მთავრდება საარმშენებლო და მოპარკეთების სამუშაოები ლენინგრადის მარმარილოს სასახლეში, რომელიც გამოყოფილია მუზეუმის ფილიალისათვის. ამ ფილიალის გახსნა განზრახულია 15 სექტემბრისათვის. უახლოეს დღეებში ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი ლენინგრადში გზავნის ექსპონატების პირველ პარტიას — მუზეუმის დარბაზებში გამოფენილ დოკუმენტთა და ქანდაკებათა რეპროდუქციებს ასლებს.

ოქტომბრის გამოცხადება ტირაჟების დროს

მოსკოვი, 13 მაისი. (საქდესი). შემნახველ სალაროთა და სახკრედიტის მთავარი სამმართველოს ცნობით, მაისის დამდეგისათვის მთელ საბჭოთა კავშირში მეორე ხუთწლედის სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) გადაცემული იყო ძველი მასობრივი სესხების 13.476.9 მილიონი მანეთის ობლიგაცია. გადამცველმა პუნქტებმა მომსახურება გაუწიეს 40.688 ათას კაცს.

ძველი მასობრივი სესხების ობლიგაციების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გადაცემული და მოსახლეობის ხელშია.

დადგენილი წესის თანახმად შემნახველ სალაროებში არსებული ობლიგაციები ტირაჟების დროს უნდა დაილუქოს მოსახლეობის ინტერესთა დასაცავად სსრკ-ის ფინსახკომმა შეიმუშავა ისეთი წესი, რომელიც იძლევა ტირაჟების დროს ობლიგაციების გადაცემის შესაძლებლობას.

ახალი წესი დადგენილია 1 სექტემბრამდე. ჩასატარებელი ყველა ტირაჟის დროისთვის (1 სექტემბერი ობლიგაციების გამოცემის უკანასკნელი ვადაა).

ნახევარი კოლოფიდან 50 კილოგრამი პარკი

ტელეგრაფით „კომუნისტის“ რედაქციას

ბაღდათის რაიონის სოფელ დიმის კოლმეურნე ქალმა ლუდია მაჭავარიანმა განსაკუთრებული მოვლა-პატრონობის შედეგად 14 მაისს ნახევარი კოლოფი თესლიდან მიიღო 50 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის პარკი. მაჭავარიანს კონტრაქტაცია დადებული ჰქონდა 20 კილოგრამ პარკზე. ამ დროისათვის ბამბის მოსავლის მიღების შემთხვევაში რაიონში პირველია.

ი. ს. ხულაბერიძე გ. ქადაგიძე

○ ◇ ○

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

„ხალ. ჩაის“ 10 მაისის ცნობებით

მეურნეობები	ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე (ცენტნერობით)	ფოთლის მოსავლის შესყიდვა (ათასი ცენტნერობით)	ჩაის მოსავლის შესყიდვა (ათასი ცენტნერობით)
ხალიბაურის	36.826	11,9	49,6
ჩაქვის	155.688	11,4	47,8
ოჩამჩირის	42.424	4,4	21,9
ლიახურის	58.853	7,3	15
ნასაკირალის	46.233	8,6	45,2
წულუკიძის	18.520	13,2	70,2
დიდი-ჯვონის	11.689	3	17,8
ლესიანის	9.605	10	50,6
ნარაზენის	68.584	11,5	57,4
ჯოლევკიანის	18.264	8,5	44,9
წალენჯიხის	6.921	2,7	15,7
ახიგვარის	21.481	6,7	37,2
კოდორის	11.369	10,7	53,6
სულ საბჭ. მეურნ-ში	508.404	8,3	40,5
ჩაის ინსტიტუტის ანახეურლის საცდელი ნაკვეთი	—	—	—
ჩაის ინსტ. ჩაქვის ფილიალი	2.178	3,4	15,6
ჩაის ინსტ. ზუგდიდის ფილიალი	3.000	6,8	30
სულ საბჭ. მ. და ჩაის ინსტ.	513.582	8,1	39,6

○

ჩაქვის ფილიალის ცნობები 5 მაისისაა, დიდ-ჯვონის საბჭოთა მეურნეობისა — 7 მაისის, სოლო ჩაის ინსტიტუტის ანასეულის ფართობზე კრეფის შესახებ ცნობები არ წარმოუდგენიათ.

ხუთაშვილი: ესპანეთის მთავრობის პრემიერ მინისტრი ლარგო კაბალერო (შუა ში) მადრიდის ფრონტზე ათვალიერებს რესპუბლიკური ჯარების პოზიციებს. მის მარცხნივ, შამპანა თოფით ხელში აღვარეს დღე ვაიო—ესპანეთის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ფოტო „ხოუზფოტოსი“

არტემ წითლიძე

საქ. ჯ. პ. (ბ) ხიდნაღის რაიკომის მდივანი

პარტიული მუშაობის გარდაქმნის გზით

მუშათა კლასის დიქტატურის საფუძვლების განმტკიცება აძლიერებს პარტიის, როგორც სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ავტორიტეტს. ახალი საბჭოთა არჩევნები მოასწავებს სოციალიზმის ქვეყნის მთელი მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობის უდიდეს ზრდას. ამ აქტივობას სათავეში უნდა ჩაუდგეს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქტივიზებულ, სათანადოთ მომზადებულ უნდა იქნას პირველ რიგში თვით პარტიის წევრთა მთელი მასა. ყოველ პარტორგანიზაციაში დაცულ უნდა იქნას შინაპარტიული დემოკრატიის საფუძვლები.

სიღნაღის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაშიაც ადგილი ჰქონდა შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის მრავალ ფაქტს, როგორც რაიკომის, ისე პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაშიაც. რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილი იყო 10 ამხანაგი. რაიკომის მხრივ ადგილი ჰქონდა ცალკე პარტორგანიზაციათა მოთხოვნილებების უგულებელყოფის ფაქტებსაც შინაპარტიული დემოკრატიის საკითხების გატარების დროს.

1936 წ. შემოდგომაზე შირაქის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ამხ. ჩაჩიბაია მოხსნილ იქნა პარტკომის მდივნობიდან მის მიერ დაშვებულ დამახინჯებათა გამო; პარტორგანიზაციის კრებამ მოითხოვა მისი საანგარიშო მოხსენების მოსმენა მეურნეობიდან წასვლამდე. მაგრამ რაიკომმა ვერ უზრუნველჰყო ეს საქმე.

ხარისის საბჭოთა მეურნეობისა და ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციებში პარტორგანიზატორებად არჩეული იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც პირველადი პარტორგანიზაციების აღრიცხვაზე არც კი იმყოფებოდნენ. ცალკეული პარტორგანიზაციების მუშაობაში ადგილი ჰქონდა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობის შემთხვევებსაც (შირაქისა და ელდარის საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციები, არტელ „ლენინის ანდერძის“ პარტორგანიზაცია და სხვ.).

სიღნაღის რაიონი წარმოადგენს ერთერთ ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონს, რომლის წამყვანი დარგებია მემინდვრეობა და მეცხოველეობა. ტექნიკურ კულტურებსაც ამ ს ... [illegible] ნაწილად გლეხური მოსახლეობის 86 პროც. კოლმეურნეობებშია გაერთიანებული. საგრძნობლად განმტკიცდნენ კოლმეურნეობები ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკურ მხრივ, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმან, რომ შარშან სამეურნეო წელი რაიონში დამაკმაყოფილებლად იქმნა დამთავრებული, აგრეთვე იმან, რომ ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდაციისა და ზოგისაგან მიწების ჩამოჭრის შედეგად კოლმეურნეობებს გადაეცათ 11.000 ჰექტარი სახნავი მიწა, 14.000 ჰექტ. საძოვარი, 20.000 ცხვარი და სხვა პირუტყვი.

თუ 1935 წელს რაიონში შეშოდგომის პურის მოსავლიანობა საშუალოდ 10,2 ცენტნერს არ აღემატებოდა, 1936 წელს საშუალო მოსავლიანობა უდრიდა 14 ცენტნერს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაცილებით მეტი მოსავალი მიიღეს. მაგალითად, ქვემო ქედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. რ. ნადირაშვილი) ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 22 ცენტნერი ხორბალი.

გაიზარდა შრომის ღირებულება. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში შრომადღეზე ერგოთ 16 კილოგრამი მარცვლეული, მახარაძის სახელობისაში — 12 კილოგრამი, „შრომის იმედში“ — 13 კილოგრამი. ბრიგადირ ამხ. ქარატელის ოჯახმა შარშან მიიღო 800 ფუთამდე მარცვლეული.

მეცხოველეობის განვითარების დარგში გვაქვს მთელი რიგი დადებითი მაჩვენებლები. როგორც სახელმწიფო გეგმის შესრულების, ისე პირუტყვის საერთო სულადობის ძირითად.

1936 წლის 1 იანვართან შედარებით 1937 წ. 1 იანვრისათვის პირუტყვის სულადობის ზრდა შემდეგ სურათს გვაძლევს: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი — 109.3 პროც., ცხვარი და თხა — 118.2 პროც., ცხენის ზრდა — 102,1 პროც. გადაჭარბებით შესრულებულია ცხვრის იტეზაციის გეგმა. შესრულებულია აგრეთვე უძროხო და უცხვარო კოლმეურნეთათვის პირუტყვის გადაცემისა და მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმების სხვა მაჩვენებლებიც.

რაიონში საბჭოთა მეურნეობებშაც 1936 წელი კარგად დაამთავრეს. შირაქის საბჭოთა მეურნეობამ გასულ წელს მარცვლეულის საშუალო მოსავალი მიიღო 16 ცენტნერამდე, ელდარის საბჭოთა მეურნეობამ მეცხოველეობის გეგმა შეასრულა და მიაღწია უდღეტაციოდ მუშაობას.

ქვემო-ქედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში (პარტორგი ამხ. დურაშვილი) არიცხება 9 წევრ-კანდიდატი, აქედან წარმოებაში უშუალოდ ჩაბმულია 7 კაცი. აქ კარგად არის დაყენებული სტახანოვური მოძრაობის საქმე. ამხანაგ სტალინის ინიციატივით ათასობით მუშები და კოლმეურნეები ქვეყნის ყოველი კუთხიდან ყოველდღე მოდიან აქ, რათა გაეცნონ მშრომელთა გენიალურ ბელადის ცხოვრებას და ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ისტორიას. წლის განმავლობაში ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმი დაათვალიერა 1.200 ათასზე მეტმა კაცმა, მათ შორის 100 ათასზე მეტმა პარტიულმა მუშაკმა და პროპაგანდისტმა.

წელს გაიხსნება ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალები ლენინგრადსა, კიევსა და თბილისში.

ამჟამად მთავრდება საარმშენებლო და მოპარკეთების სამუშაოები ლენინგრადის მარმარილოს სასახლეში, რომელიც გამოყოფილია მუზეუმის ფილიალისათვის. ამ ფილიალის გახსნა განზრახულია 15 სექტემბრისათვის. უახლოეს დღეებში ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი ლენინგრადში გზავნის ექსპონატების პირველ პარტიას — მუზეუმის დარბაზებში გამოფენილ დოკუმენტთა და ქანდაკებათა რეპროდუქციებს ასლებს.

ოქტომბრის გამოცხადება ტირაჟების დროს

მოსკოვი, 13 მაისი. (საქდესი). შემნახველ სალაროთა და სახკრედიტის მთავარი სამმართველოს ცნობით, მაისის დამდეგისათვის მთელ საბჭოთა კავშირში მეორე ხუთწლედის სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) გადაცემული იყო ძველი მასობრივი სესხების 13.476.9 მილიონი მანეთის ობლიგაცია. გადამცველმა პუნქტებმა მომსახურება გაუწიეს 40.688 ათას კაცს.

ძველი მასობრივი სესხების ობლიგაციების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გადაცემული და მოსახლეობის ხელშია.

დადგენილი წესის თანახმად შემნახველ სალაროებში არსებული ობლიგაციები ტირაჟების დროს უნდა დაილუქოს მოსახლეობის ინტერესთა დასაცავად სსრკ-ის ფინსახკომმა შეიმუშავა ისეთი წესი, რომელიც იძლევა ტირაჟების დროს ობლიგაციების გადაცემის შესაძლებლობას.

ახალი წესი დადგენილია 1 სექტემბრამდე. ჩასატარებელი ყველა ტირაჟის დროისთვის (1 სექტემბერი ობლიგაციების გამოცემის უკანასკნელი ვადაა).

ნახევარი კოლოფიდან 50 კილოგრამი პარკი

ტელეგრაფით „კომუნისტის“ რედაქციას

ბაღდათის რაიონის სოფელ დიმის კოლმეურნე ქალმა ლუდია მაჭავარიანმა განსაკუთრებული მოვლა-პატრონობის შედეგად 14 მაისს ნახევარი კოლოფი თესლიდან მიიღო 50 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის პარკი. მაჭავარიანს კონტრაქტაცია დადებული ჰქონდა 20 კილოგრამ პარკზე. ამ დროისათვის ბამბის მოსავლის მიღების შემთხვევაში რაიონში პირველია.

ი. ს. ხულაბერიძე გ. ქადაგიძე

○ ◇ ○

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

„ხალ. ჩაის“ 10 მაისის ცნობებით

მეურნეობები	ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე (ცენტნერობით)	ფოთლის მოსავლის შესყიდვა (ათასი ცენტნერობით)	ჩაის მოსავლის შესყიდვა (ათასი ცენტნერობით)
ხალიბაურის	36.826	11,9	49,6
ჩაქვის	155.688	11,4	47,8
ოჩამჩირის	42.424	4,4	21,9
ლიახურის	58.853	7,3	15
ნასაკირალის	46.233	8,6	45,2
წულუკიძის	18.520	13,2	70,2
დიდი-ჯვონის	11.689	3	17,8
ლესიანის	9.605	10	50,6
ნარაზენის	68.584	11,5	57,4
ჯოლევკიანის	18.264	8,5	44,9
წალენჯიხის	6.921	2,7	15,7
ახიგვარის	21.481	6,7	37,2
კოდორის	11.369	10,7	53,6
სულ საბჭ. მეურნ-ში	508.404	8,3	40,5
ჩაის ინსტიტუტის ანახეურლის საცდელი ნაკვეთი	—	—	—
ჩაის ინსტ. ჩაქვის ფილიალი	2.178	3,4	15,6
ჩაის ინსტ. ზუგდიდის ფილიალი	3.000	6,8	30
სულ საბჭ. მ. და ჩაის ინსტ.	513.582	8,1	39,6

○

ჩაქვის ფილიალის ცნობები 5 მაისისაა, დიდ-ჯვონის საბჭოთა მეურნეობისა — 7 მაისის, სოლო ჩაის ინსტიტუტის ანასეულის ფართობზე კრეფის შესახებ ცნობები არ წარმოუდგენიათ.

ხუთაშვილი: ესპანეთის მთავრობის პრემიერ მინისტრი ლარგო კაბალერო (შუა ში) მადრიდის ფრონტზე ათვალიერებს რესპუბლიკური ჯარების პოზიციებს. მის მარცხნივ, შამპანა თოფით ხელში აღვარეს დღე ვაიო—ესპანეთის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ფოტო „ხოუზფოტოსი“

არტემ წითლიძე

საქ. ჯ. პ. (ბ) ხიდნაღის რაიკომის მდივანი

პარტიული მუშაობის გარდაქმნის გზით

მუშათა კლასის დიქტატურის საფუძვლების განმტკიცება აძლიერებს პარტიის, როგორც სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ავტორიტეტს. ახალი საბჭოთა არჩევნები მოასწავებს სოციალიზმის ქვეყნის მთელი მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობის უდიდეს ზრდას. ამ აქტივობას სათავეში უნდა ჩაუდგეს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქტივიზებულ, სათანადოთ მომზადებულ უნდა იქნას პირველ რიგში თვით პარტიის წევრთა მთელი მასა. ყოველ პარტორგანიზაციაში დაცულ უნდა იქნას შინაპარტიული დემოკრატიის საფუძვლები.

სიღნაღის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაშიაც ადგილი ჰქონდა შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის მრავალ ფაქტს, როგორც რაიკომის, ისე პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაშიაც. რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილი იყო 10 ამხანაგი. რაიკომის მხრივ ადგილი ჰქონდა ცალკე პარტორგანიზაციათა მოთხოვნილებების უგულებელყოფის ფაქტებსაც შინაპარტიული დემოკრატიის საკითხების გატარების დროს.

1936 წ. შემოდგომაზე შირაქის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ამხ. ჩაჩიბაია მოხსნილ იქნა პარტკომის მდივნობიდან მის მიერ დაშვებულ დამახინჯებათა გამო; პარტორგანიზაციის კრებამ მოითხოვა მისი საანგარიშო მოხსენების მოსმენა მეურნეობიდან წასვლამდე. მაგრამ რაიკომმა ვერ უზრუნველჰყო ეს საქმე.

ხარისის საბჭოთა მეურნეობისა და ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციებში პარტორგანიზატორებად არჩეული იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც პირველადი პარტორგანიზაციების აღრიცხვაზე არც კი იმყოფებოდნენ. ცალკეული პარტორგანიზაციების მუშაობაში ადგილი ჰქონდა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობის შემთხვევებსაც (შირაქისა და ელდარის საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციები, არტელ „ლენინის ანდერძის“ პარტორგანიზაცია და სხვ.).

სიღნაღის რაიონი წარმოადგენს ერთერთ ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონს, რომლის წამყვანი დარგებია მემინდვრეობა და მეცხოველეობა. ტექნიკურ კულტურებსაც ამ ს ... [illegible] ნაწილად გლეხური მოსახლეობის 86 პროც. კოლმეურნეობებშია გაერთიანებული. საგრძნობლად განმტკიცდნენ კოლმეურნეობები ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკურ მხრივ, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმან, რომ შარშან სამეურნეო წელი რაიონში დამაკმაყოფილებლად იქმნა დამთავრებული, აგრეთვე იმან, რომ ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდაციისა და ზოგისაგან მიწების ჩამოჭრის შედეგად კოლმეურნეობებს გადაეცათ 11.000 ჰექტარი სახნავი მიწა, 14.000 ჰექტ. საძოვარი, 20.000 ცხვარი და სხვა პირუტყვი.

თუ 1935 წელს რაიონში შეშოდგომის პურის მოსავლიანობა საშუალოდ 10,2 ცენტნერს არ აღემატებოდა, 1936 წელს საშუალო მოსავლიანობა უდრიდა 14 ცენტნერს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაცილებით მეტი მოსავალი მიიღეს. მაგალითად, ქვემო ქედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. რ. ნადირაშვილი) ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 22 ცენტნერი ხორბალი.

გაიზარდა შრომის ღირებულება. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში შრომადღეზე ერგოთ 16 კილოგრამი მარცვლეული, მახარაძის სახელობისაში — 12 კილოგრამი, „შრომის იმედში“ — 13 კილოგრამი. ბრიგადირ ამხ. ქარატელის ოჯახმა შარშან მიიღო 800 ფუთამდე მარცვლეული.

მეცხოველეობის განვითარების დარგში გვაქვს მთელი რიგი დადებითი მაჩვენებლები. როგორც სახელმწიფო გეგმის შესრულების, ისე პირუტყვის საერთო სულადობის ძირითად.

1936 წლის 1 იანვართან შედარებით 1937 წ. 1 იანვრისათვის პირუტყვის სულადობის ზრდა შემდეგ სურათს გვაძლევს: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი — 109.3 პროც., ცხვარი და თხა — 118.2 პროც., ცხენის ზრდა — 102,1 პროც. გადაჭარბებით შესრულებულია ცხვრის იტეზაციის გეგმა. შესრულებულია აგრეთვე უძროხო და უცხვარო კოლმეურნეთათვის პირუტყვის გადა

საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობის დელეგატები (მარჯვნიდან—მარცხნივ): ამხ. დავით ბიბინაძე (თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის სტახანოველი, ორდენოსანი), ქრ. კაკაბაძე (ქუთაისის რაიონის სოფ. ოფშკვითის გოროშილოვის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორდენოსანი), თამარ როსტომაშვილი (თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშა - სტახანოველი, ორდენოსანი), ხ. მამულაშვილი (თბილ ისის ორთქლმავალ-ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის სტახანოველი), რომანოვი (№ დივიზიონი) და ვ. სალაძე (ჯუღელის ფეროგენტის სტახანოველი, ორდენოსანი).

ლაპარაკობენ საქართველოს ბოლშევიკური პარტიის X ყრილობის დელეგატები!

კრიტიკა „ტყვეობაში“ იყო

ვ. სალაძე

ჯუღელის ფეროშენადნობთა ქარხნის ორდენოსანი სტახანოველი

ფეროგოგანტის პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ფართოდ გაიშალა ბოლშევიკური კრიტიკა.

გამოირკვა, რომ ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია მთელი რაიონისათვის იყოს პარტიული ცხოვრების სანიმუშო სკოლა, სინამდვილეში სხვაზე უარესია, ასე რომ რაიონის საწარმოებთან და კოლმეურნეობებთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციები მისგან ვერაფერს ისწავლიდნენ.

კონკრეტულად რა აღმოჩნდა აქვე შინაპარტიული დემოკრატიის, პარტიის წესდების დამახინჯების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის სასტიკი დევნის, უდარდელობის, ქედმაღლობისა და მლიქვნელობის შეუწყნარებელი ფაქტები!

ფეროგოგანტის პარტორგანიზაციაში მოკალათებული იყვნენ ტროკისტები, რომელთა წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობდნენ ქარხნის ხელმძღვანელები.

საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე ჩვენმა ორგანიზაციამ ვერ გამოიტანა საჭირო დასკვნები, ვერ გარდაჰქმნა პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა. მართალია, სამეურნეო წარმატებები გვქონდა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტად ჩამოვრჩით პარტიულ ცხოვრებას. მე, როგორც ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრი, გულწრფელად ვაღიარებ, რომ ქარხნის პარტიული კომიტეტი და მის წევრთა შორის მეც მოუქნელად ვმუშაობდით.

ჩვენთან მივიწყებული იყო პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა. ქარხანაში მომუშავეთა მხოლოდ 20 პროცენტს ჰქონდა გამოწერილი გაზეთი (გაზეთის წამკითხველები დღესაც არ არიან გამოყოფილი ბრიგადებში), აგიტატორებად მეტნაწილად გამოყოფილი იყვნენ შეუმოწმებელი ადამიანები. სარემონტო საამქროს აგიტატორი კონტრრევოლუციონერი - ტროკისტი ევგრაფოვი ცდილობდა ტროკისტული შხამით მოეწამლა მუშები. პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ დრომდე ამ თვალთმაქცის გამომჟღავნება ვერ მოახერხა. ეს იმიტომ, რომ კომიტეტი მოწყვეტილი იყო ძირეულ რგოლებს, მხოლოდ პარტორგების „ხელმძღვანელობდა“ საბეჭდავით კომუნისტებს. ამ შემთხვევაში პარტორგები „შუამავლის“ როლს ასრულებდნენ. პარტკომიტეტი და საამქროს კომუნისტებს შორის ძირეულ რგოლებში თუ რა მუშაობა მიმდინარეობდა, ეს კომიტეტისათვის „მიუწდომელი“ იყო.

პარტიული განათლება ქაოტიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ სწორად არ იყო დაკომპლექტებული სკოლები, მათ არც საჭიროებისამებრ ადგილი ჰქონდათ, უბნობის გამო ხშირი იყო მეცადინეობის ჩაშლა. პროპაგანდისტს, ასევე მსმენელებსაც გული უცრუდებოდათ მეცადინეობაზე.

ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა აქ „ტყვეობაში“ იყო.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შემდეგ ჩვენთან ფართოდ გაიშალა კრიტიკა, ფარულმა კენჭისყრამ უზრუნველჰყო პარტიულ ხელმძღვანელ ორგანოებში პარტიის ერთგულ ადამიანთა შერჩევა.

ქარხნის ახლად არჩეულმა კომიტეტმა სანიმუშოდ გაშალა მუშაობა. პარტიული მუშაობის ახლებურად გარდაქმნის ერთერთი შედეგის არის, რომ პარტკომმა გააძლიერა მხრუნველობა თვითეულ კომუნისტზე. პარტიულ სამუშაოებზე წამოწეულ და გამოყენებულ იქნენ ახალი კადრები, გააქტიურდნენ „ჩუმი“ კომუნისტები, გაუმჯობესდა პარტიული სკოლების მუშაობა და ამასთან ერთად საგრძნობლად აბალდა კომუნისტური ავანგარდული როლი წარმოებაში. ჩემს ბრიგადაში ყველანი სტახანოველები გახდნენ.

დარწმუნებული ვარ, საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე ფართოდ გავეცნობი მოწინავე პარტორგანიზაციების პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებას, რასაც ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ გამოვიყენებთ ჩვენი ქარხნის პარტორგანიზაციის მუშაობის ახლებურად გარდაქმნის საქმეში, პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მუშაობის გარდაქმნით

ვასილ მაისურაძე

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-შემკ. ქარხნის საბარგო-სავაგ. სამჭროს პარტორგი

საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობას ჩვენი ქარხანა სათანადო მიღწევებით ვერ ხვდება. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია გარეწარ კონტრრევოლუციონერების დაძაბრეველი მუშაობით. ჩვენი ქარხნის პარტორგანიზაციის ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნების შედეგად ხალხის მტრებს საშუალება მიეცათ ეწარმოებინათ მავნებლური მუშაობა.

გამომჟღავნებული გაიძვერა ტროცკისტი შ. გაბრიაძე, პ. თოფურიძე, ვადაბაძე და სხვ. დიდად აფერხებდნენ ქარხნის მუშაობას. მათ ჩაშალეს გეგმის შესრულება. ამ გარეწართა პარპაშს ქარხნის ბოლშევიკებმა თავის დროზე ვერ მოუღეს ბოლო და ხალხის მტრებმა ცოტა ჭირალი კი არ მიაყენეს ქარხანას.

ქარხნის ყოფილმა მმართველმა ავაჭაკმა პ. თოფურიძემ საბოტაჟი გაუწია გზათა სახალხო კომისრის ბრძანებას ორთქლმავლების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის გატარების შესახებ. არ შეასრულა ეს მეტად მნიშვნელოვანი ბრძანება, რის შედეგად ქარხანა მუდამ გარღვევაში იყო.

მაგრამ გარეწართა გამომჟღავნების შემდეგ ქარხანა თანდათან თავს აღწევს ჩამორჩენას.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა და დიდი სტალინის ისტორიული მოხსენების შესწავლამ მოგვცა ის შედეგი, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ფართოდ გაიშალა, უფრო გაიზარდა აქტივობა. ეს გვეხმარება ძირეული პარტორგანიზაციის საარჩევნო კრებამ, რომელზედაც აქტიურად გამოვიდნენ ისეთი ამხანაგებიც კი, რომლებიც წინათ ნაკლებად გამოდიოდნენ საქარხნო კრებაზე და აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობდნენ პარტიულ ცხოვრებაში.

განსაკუთრებული ყურადღება ექ-

ცევა ბოლშევიზმის დაუფლებას. გარდა არსებული პოლიტშკოლისა, პარტკომში მუშავდება და სისტემატურად ისწავლება ბრიგადებსა და ჯგუფებში „პრავდის“ მოწინავე წერილები. გარდა აგიტატორებისა, რომლებიც ყოველდღიურად ხმამაღლა კითხულობენ მუშებში გაზეთებს და თვითეულ მუშას აცნობენ მნიშვნელოვან წერილებს, გვყავს სპეციალურად შერჩეული და მომზადებული ამხანაგები, რომლებიც ამუშავებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს. წარსულთან შედარებით პოლიტკოლებში მსმენელთა დასწრება საგრძნობლად გაუმჯობესდა და შეთვისების ხარისხიც არ არის ცუდი.

მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სამეურნეო წარმატებანი დამოკიდებულია პარტიულ - ორგანიზაციული და პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე.

სამეურნეო გეგმის შესრულების მხრივ ჩვენს ქარხანაში არ ბრის კარგი დღემარეობა, რაც უეჭველად გამოწვეულია პარტორგანიზაციების სუსტი მუშაობით. გასულ სტახანოვურ წელს ქარხანამ ჩვენს ქვეყანას 28 ორთქლმავალი დააკლო, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — 14 ორთქლმავალი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა რეალიზაციის საფუძველზე ხდება გარეწარ თოფურიძის და გაბრიაძის ნარჩენების გამომჟღავნება. ისინჯება და ხალისდება სამეურნეო კადრები, როგორც საამქროებში, ისე განყოფილებებშიაც.

ბოლშევიკური რევოლუციური შეტევითი სიფხიზლის ამაღლებით, პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის ახლებურად გარდაქმნით ჩვენი ქარხნის პარტორგანიზაცია უახლოეს მომავალში შესძლებს იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოსწორებას, რომლებიც ჩვენი ქარხნის პარტორგანიზაციის მუშაობას ახასიათებს.

ჩემი გამაჯანსაღების „საიდუმლოება“

მარგანეცის მრეწველობაში სტახანოვურ მოძრაობას სათავე ორდენოსანმა ვ. სამხარაძემ დაუდო. მან ამ სამაგალითო ინიციატივით გზირულ ბრძოლაში ჩააბა მრავალი ათეული მუშა, რომელთა შორის მეც ვიყავი.

ჩემი წარმატება წარმოებაში შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მე კარგად შევიგნე, რომ ლენინ-სტალინის პარტიის წევრობა მოვალედ მხდის ვიყო მოწინავე, რათა მაგალითს ვაძლევდე მაღაროში მომუშავე მრავალრიცხოვან მუშებს.

უთუოდ ამით უნდა აიხსნას, რომ საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიონის პარტიულმა კონფერენციამ ფარული კენჭისყრით ამირჩია საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობის დელეგატად.

ჩემი მუშაობის ასეთმა დაფასებამ მუშაობაში ახალი ენერგია შემატა. ყოველდღიურად ახალი ნორმით 8 ტონის ნაცვლად 36 ტონა მარგანეცს ვანგრევ, რაც დავალების 400 პროცენტს შეადგენს.

მე გადაწყვეტილი მაქვს — გეგმის შესრულების მაჩვენებლები კიდევ უფრო გავზარდო, ჩემი მუშაობის მაგალითზე გავზარდო სტახანოველთა ახალი კადრები და მთლიანად გავამართლო პარტიის წევრობის დიდი სახელწოდება.

გედევან მეცხოვრიშვილი

სტალინის სახელობის მაღაროების სტახანოველი.

მეჯი მზრუნველობა რიგითს წევრებზე

ნადია გაბედავა

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის სტახანოველი

ქუთაისში მაუდის ფაბრიკის ამუშავების დღიდან მე მაუდის მჭრელად ვმუშაობ. ამ ფაბრიკაში გავიზარდე, აქ შევედი საქ. კ. პ. (ბ) რიგებში. ვიყავი დამკვრელი, ახლა სტახანოველი ვარ. ჩემს ხელში გამოიზარდნენ ჩვენი ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველი ქალები—ამხ. მ. ურიკაძე, ნ. დიაკონიძე და სხვ.

ხშირად მაჯილდოვებდნენ საწარმოო გეგმის მაჩვენებლების წარმატებით შესრულებისათვის, ჩემი შრომის გამოცდილებას ვუზიარებდი ამხანაგებს.. ამ უკანასკნელად დამაწინაურეს. საქსოვ სამქროში ბრიგადის უფროსი ოსტატი ვარ — აი ჩემი შრომის მოკლე ისტორია.

ნაკლიც მქონდა.. საწარმოო წარმატებებით გატაცებულმა შევასუსტე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. პარტორგანიზაციისაგან აგიტატორად ვარ გამოყოფილი და უნდა ვაღიარო, რომ აქამდე ამ დატვირთვას, როგორც საჭიროა, ისე ვერ ვასრულებდი. ზოგჯერ რამდენიმე დღე ისე გაივლიდა, რომ საუბარს არ ვმართავდი ჩემ ჯგუფში. ამიტომ საუბრებს ხშირად აკლდებოდნენ ამხანაგები. 14 კაციდან ზოგჯერ 7-8 კაცის მეტი არ ესწრებოდა.

ფაბრიკის პარტკომიც ნაკლებად იყო დაინტერესებული ფაბრიკაში პოლიტიკური—აგიტაციის გარკვეულ დაყენებით. არ მახსოვს, არცერთი შემთხვევა, რომ პარტკომიდან ჩემს საუბარს დასწრებოდენ, ან ეკითხათ მიზეზები, თუ რატომ აკლდებოდა საუბრებს ზოგიერთი ამხანაგი, რა გვიშლიდა ხელს სააგიტაციო მუშაობის გაშლაში და სხვ.

გასულ წელს მაუდის ფაბრიკის პარტკომის მდივნად ამხ. ტყაბლაძე მუშაობდა. ერთერთ პარტიულ კრებაზე „პასივობისათვის“ პარტიიდან ვარიცხეს სართავი საამქროს მუშა ქალი ნინო აბესაძე. მას ბრალი დასდეს „პასიურობაში“, ნამდვილად კი მის მიმართ თვით პარტკომი იყო პასიური, ვინაიდან პარტკომის მდივანს მასზე, როგორც პარტიის წევრზე, ბოლშევიკური მხრუნველობა არ გამოუჩენია. ნინოს არ უგრძვნია ბოლშევიკური ხელმძღვანელის ხელი. ამიტომ იგი მოსწყდა და პარტიულ ცხოვრებას და „გახდა პასიურად“.

ასეთი მაგალითები ხშირი იყო ჩვენს ორგანიზაციაში.

„პასიურებს“ გამოსწორების ნაცვლად დაურიდებლად აძევებდნენ პარტიიდან, რადგან ეს უფრო ადვილად მოსაგვარებელი „საქმე იყო“, ვიდრე მათი გააქტივება და გაზრდა.

ახლად არჩეულ პარტკომს პარტიულმა კრებამ დასახულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით დაავალა გულითადი მზრუნველობა გაუწიოს თვითეულ კომუნისტს, გააჩაღოს მუშაობა პარტიის წევრთა ბოლშევიკური აღზრდისათვის, ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, თვითეული კომუნისტი თავის უნარისა და პირადი თვისებების მიხედვით დაკვირვებით შეაფასოს და გამოიყენოს იგი თავის შესაფერ ადგილზე. რათა „თვითეულ მუშას შეეძლოს მისცეს რევოლუციას იმის მაქსიმუმი, რის მიცემაც მას საერთოდ შეუძლიან თავისი პირადი თვისებების მიხედვით“.

ვიყოთ ფხიზელი!

გალაქტიონ ცინცაძე.

მახარაძის ჩაის ფაბრიკის დირექტორი

მწვავედ და სამართლიანად გააკრიტიკეს მახარაძის რაიონის პარტკონფერენციაზე რაიონში არსებული ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელთა მუშაობა.

ჩვენი ჩაის ფაბრიკა სამი წელია გეგმას ვერ ასრულებს. ეს ფაბრიკის ხელმძღვანელ მუშაკთა სუსტ მუშაობას მოწმობს. პირველ რიგში ეს ეხება კომუნისტებს — ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც ვერ შეძლეს ჩაის ფაბრიკის მუშაობას სათავეში ჩასდგომოდნენ.

მე ვთქვი რაიონის პარტიულ კონფერენციაზე და ვიმეორებ, რომ ჩაის ფაბრიკების სუსტ მუშაობაში ჩვენთან ერთად (და შეიძლება უფრო მეტადაც) მიუძღვის ბრალი „საქართველოს ჩაის“ ტრესტს, რომელიც არა ოპერატიულად, მოუქნელად გვხელმძღვანელობს ჩვენ, ჩაის ფაბრიკების მუშაკებს.

საქ. ჩაის ტრესტის ხელმძღვანელთ ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად — მოეწვიათ ჩაის ფაბრიკის დირექტორები, სამეურნეო-ტექნიკური მუშაკების თათბირი, გამოერკვიათ, თუ რა აფერხებს ფაბრიკების მუშაობას და ჩვენთან ერთად დაესახათ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გარდაჭრისათვის. მოსკოვს აქვს სამეურნეო მუშაკთა თათბირების მოწყობის მდიდარი გამოცდილება, კარგი იქნებოდა, რომ ეს გამოცდილება ჩვენშიაც გამოეყენებინათ.

რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი, რომ საქ. ჩაის ტრესტიდან დაგვხმარებოდნენ მუშაობის გაუმჯობესებაში, მაგრამ ეს დახმარება ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. ჩვენს ფაბრიკებში მუშაობის სეზონი უკვე დაიწყო და შარაკოვსკის სისტემის კამერა (ჩაის ხელოვნური საშრობი) დღესაც დაუდგმელია. ლაითურის ჩაის ფაბრიკაში 12 მანქანის ნაცვლად 6 მანქანა მუშაობს, ჩაის პუხტებისაკენ გზები შეუკეთებელია. ტრანსპორტიც სრულებით არ გვყოფნის პუნქტებიდან ჩაის გადმოსაზიდად. ზოგჯერ ელექტროენერგიაც გველატობს. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს და მეტად აფერხებს გეგმების შესრულებას, ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი დღესაც არ არის აღმოფხვრილი.

აქამდე ჩვენთან დაცული არ იყო კადრების შერჩევის ბოლშევიკური პრინციპი. უკეთ რომ ვსთქვათ, ზოგიერთი მუშაკი თავის შესაფერ ადგილზე არ იყო, პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ გაშალა პარტიულ-მასობრივი მუშაობა ძირეულ რგოლებში, ამიტომ ბევრი კომუნისტი არ იყო ავანგარდში. პარტორგანიზაციამ ალღო ვერ აუღო საქმის ვითარებას და ბოლშევიკური კრიტიკის უქონლობით ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას შეეპარა უდარდელობის სენი, ოპაჩა მოადუნა ბოლშევიკური სიფხიზლე ფაბრიკაში.

პასუხსაგებ პოსტზე დიდხანს იყვნენ ხალხის მტრების აგენტი, ტროცკისტი რ. ჯახუტაშვილი, ის ისე გადაიყვანეს აბრეშუმის ფაბრიკაში (ასევე პასუხსაგებ სამუშაოზე), რომ ჩვენი ფაბრიკის პარტორგანიზაციას ეჭვი არ შეუტანია ამ ადამიანის ბოლშევიკობაში. ჯახუტაშვილი უკანასკნელ დრომდე ახერხებდა უდარდელობით დაბრმავებული პარტორგანიზაციის მოტყუებას და ადვილად აჭახრაკებდა თავის ბნელ საქმეებს. ბოლოს ბოლშევიკურმა კრიტიკამ ჩამოჰკვლიწა მას ნიღაბი, ფარდა აეხადა მის ბნელ საქმიანობას.

რატომ მოხდა, რომ ხალხის მტერი ჯახუტაშვილი დიდხანს შეუმჩნეველი იყო? იმიტომ, რომ ქარხანაში სუსტად იყო დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია, ჩახშობილი იყო კრიტიკა, ირღვეოდა შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპები.

პირადად მე პარტიული ორგანიზაციისაგან დავალებული მაქვს ფაბრიკის აგიტსემინარის ხელმძღვანელობა. მართალია უნდა ვთქვა, აქამდე ამ დავალების დაბალყოფილებლად ვერ ვასრულებდი, რამდენჯერმე სამეურნეო საკითხების გამო გადამდევს მეცადინეობა, რადგან აგიტაციის რატომღაც მეორეხარისხოვან საქმედ ვსთვლიდი. ხშირად ჩემს მაგივრად სხვას ვგზავნიდი მეცადინეობის ჩასატარებლად.

ამისათვის მე სამართლიანად გამკრიტიკეს და მიმითითეს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ეს მითითებანი მე გულწრფელად მივიღე.

დარწმუნებული ვარ საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობაზე მივიღებ დიდ გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ვიმუშაო შემდგომში, რათა უშუალოდ დავეხმარო ჩვენი ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის ახლებურად გარდაქმნისა და კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საქმეში.

შ. ჩხაიძე

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის მეორე მდივანი

ახალი ამოცანების წინაშე

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია თვალსაჩინო წარმატებებით მოდის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა X ყრილობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ IX ყრილობის შემდეგ ქუთაისს ქალაქსა და სოფელში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო საკითხებს ქალაქკომი მეტისმეტად გაეტაცნოს და ამით პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მიჩქმალულიყო პარტიული ორგანიზაცია ძირითადად ახერხებდა მუშაობის ისე წარმართვას, რომ ერთის ხარჯზე მეორე არ დაზიანებულიყო.

პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით მიაღწია ქუთაისმა იმას, რომ გახდა ორდენოსანი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქუთაისმა საფუძვლიანად იცვალა სახე. წარსულში თავადაზნაურულ-მეშჩანური ქუთაისი მოწინავე სამრეწველო ქალაქი გახდა, პოლიტიკურად განმტკიცდნენ და მეურნეობრივად გაძლიერდნენ ქუთაისის კოლმეურნეობანი.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის თებერვლის პლენუმის შედეგების შესწავლამ, პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლამ ნათელჰყო, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაცია მზიდროდ შემოკრებილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომ ის მზად არის საყადრისო პასუხი გასცეს პარტიისა და ხალხის მტრების ყოველგვარ დამარღვეველ მუშაობას და მახინაციებს, როგორადაც არ უნდა იყონ მტრები შენიღბული.

ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა აამაღლა და კიდევ უფრო გააძლიერა პარტიულ ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ. პარტორგანოების ახლახან ჩატარებულმა ანგარიშგებამ და არჩევნებმა უდავოდ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა — გაუმჯობესებაში. პარტიულ ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურდნენ უკეთესნი უკეთესთაგან, ნამდვილად თავდადებული, პარტიისათვის ერთგული უნარიანი კომუნისტები.

პირველადი პარტორგანიზაციების დიდი უმრავლესობა ორგანიზებული და მომზადებული შეხვდა არჩევნებს.

საერთო აქტივობასთან ერთად აღსანიშნავია, რომ პარტიული კომიტეტებისა და პარტორგანოების საანგარიშო მოხსენებათა გამო ქალაქში გამოდიოდენ არა მარტო მოწინავე კომუნისტები, არამედ ეგრეთწოდებული პასიურებიც, რომლებიც წინათ ორგანიზაციას არაფერით არ „აწუხებდნენ“. სწორედ ასეთ კომუნისტებში გამოდიოდნენ კამათში საანგარიშო მოხსენების გამო და მოურიდებლად აკრიტიკებდნენ როგორც პირველადი ორგანიზაციების მუშაობას, ისე საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობის სუსტ მხარეებს. კრებები ტარდებოდა საღი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით.

მოკამათენი აყენებდენ მეტად საჭირბოროტო და საქმიან საკითხებს. ლიტოპონის მშენებლობის პარტორგანიზაციის კრებაზე პარტკანდიდატმა ამხ. გიორგაძემ განაცხადა: ჩვენთან კრებებს მუდმივად თავმჯდომარეობდა მხოლოდ პარტკომის მდივანი. სწორად არ იყო განაწილებული პარტდავალებები. მე მიმაგრებული ვარ კომკავშირზე, ვარ აგიტატორი, კედლის გაზეთის რედაქტორი, პროფ. სკოლის პროპაგანდისტი, ამავე დროს ვსწავლობ დაუსწრებელ ინსტიტუტში, ხოლო ზოგიერთს არავითარი დავალება არა აქვსო.

რიონჰესის პარტორგანიზაციაში ამხ. ერ. გვასალია აღნიშნავდა:

— ჩვენ გატაცებული ვიყავით მხოლოდ სამეურნეო მუშაობით. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მივიწყებული გვქონდა. გარდა ამისა, ჩვენს ორგანიზაციაში საჭირო ყურადღება არ ექცეოდა ცალკეული კომუნისტების სიგნალებს. მაგალითად, ტროკისტ სულავას მოქმედების შესახებ მე თავის დროზე ვაცნობე პარტკომის ყოფ. მდივანს ამხ. პოპოვს, მაგრამ მას არავითარი ზომები არ მიუღია. პარტკომის დადგენილება პარტგანათლების წრეების სამუშაო უბნებში მოწყობის შესახებ დღემდე არ არის შესრულებული.

წყალტუბომშენის პარტორგანიზაციის კრებაზე ამხ. კუხიანიძემ განაცხადა, რომ წყალტუბომშენის აპარატი დანაგვიანებულია უცხო ელემენტებით (ოსეპიანცი, ფერაძე, ჭანტურაია და სხვ), მშენებლობის უფროსი ფილია კი ხელს უწყობს მათ გარდა ამისა, ფილია არ ეხმარება სტახანოველებს არ უქმნის მათ ნორმალურ პირობებს, რის გამო სამუშაო მიატოვა რამდენიმე საუკეთესო სტახანოველმა მუშამ. ფილია კრიტიკას და თვითკრიტიკის მტერია. მე ვამხილე, რომ ოსეპიანცი და ფერაძე მალულად ჰყიდდენ სამშენ მასალას, ფილიამ კი მათ წაიყმევა ზომების მიღების ნაცვლად მე დამიწყო დევნა, ჯერ ჩემს მოხსნას შეეცადა და როცა ეს ვერ მოახერხა, ხელფასი შემიმცირაო.

ამხ. ნამჩევაძემ აზოტმშენის პარტორგანიზაციის კრებაზე აღნიშნა: ჩვენს ორგანიზაციაში სრულიად არადამაკმაყოფილებელია პარტიული მუშაობა, რის გამო წარმოებაში არ სჩანს კომუნისტების ავანგარდული როლი. არ არის გამახვილებული შემტევი ბოლშევიკური სიფხიზლე. მშენებლობის ყოფ. უფროსის ამხ. ბინევიჩის დიდხანს ახლო მეგობრობა ჰქონდა კონტრრევოლუციონერ იანოვსკისთან. ბინევიჩი არაფერს ამბობს ამის შესახებ და სურს მიჩქმალოს თავისი ურთიერთობა იანოვსკისთანო.

ასევე მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდნენ კამათში გამოსული ამხანაგები სხვა ორგანიზაციებიდანაც.

პარტორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით პირველად ორგანიზაციებში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით წამოყენებულ ღონისძიებებში შეტანილ იქნა 1700-ზე მეტი წინადადება. ეს წინადადებანი დაედო საფუძვლად იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც მიიღეს პარტიულმა ორგანიზაციებმა შემდგომი მუშაობის გასაძლიერებლად.

ამასთან ერთად არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ ქუთაისის ზოგიერთ პარტორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა არჩევნების წესის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითების დარღვევას. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებით ეს შეცდომები დროულად იქნა გამოსწორებული, არჩევნები ხელახლა ჩატარდა 10 პირველადს ორგანიზაციაში.

საკონსერვო ქარხნის, „მკერავის“ ფაბრიკის, სახვაჭრობის, მაუდის ფაბრიკის, პედინსტიტუტის, აბრეშუმის კომბინატის, წყალტუბომშენის და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებში 2-3 დღეს გაგრძელდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. 28 ორგანიზაციის მუშაობა ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად (საკონსერვო ქარხანა, კულორტი წყალტუბო, აზოტმშენი, ბარიტის სამმართველო და სხვ.).

გაცხოველებულ საქმიან კამათს ეწვევდა ხელმძღვანელ პარტორგანოებში ასარჩევად დასახელებული კანდიდატურების განხილვა.

საგრძნობლად განახლებულ იქნა პარტკომის წევრთა შემადგენლობა. პარტკომში 40 პროცენტზე მეტი ახალი წევრი იქნა არჩეული.

ფარული კენჭისყრის შედეგად პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულ არ იქნენ ისეთი ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც მოუყვებილი აღმოჩნდენ პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებას და პარტიულ მუშაობას. ასე დაეწართა, მაგალითად, საქალაქო კომიტეტის წევრს ამხ. ვ. ბერიძეს (ტრესტის დირექტორი), ი. თავმავაძეს (საკონსერვო ქარხნის ყოფ. დირექტორი).

დახურული წესით არჩევნები სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკებისათვის. ბევრმა ეს გამოცდა ვერ დაიჭირა. ფარული კენჭისყრის შედეგად 102 პარტორგანიზატორიდან ხელახლა არჩეულ იქნა პარტორგანიზატორად 73 ამხანაგი (შეიცვალა 29). პარტკომის 29 მდივნიდან ხელახლა არჩეულ იქნა 20 ამხანაგი და შეიცვალა—9. მაგალითად, საკონსერვო ქარხნის პარტკომის ყოფ. მდივანმა ამხ. გასიევმა 37-დან მხოლოდ 2 ხმა მიიღო.

პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში ახლად არჩეულ იქნენ საუკეთესო აქტივისტები, რომლებმაც საქმით დაიმსახურეს ავტორიტეტი თავიანთი ორგანიზაციების წინაშე. მათ შორის აღსანიშნავია გოგოლაშვილი (აბრეშუმის კომბინატი), ბლიაძე და ტყემალაშვილი (საკონსერვო ქარხანა), ჯანჯღავა (ქალაქის საბჭო), ჭილარჯიანი (მაუდის ფაბრიკა) და სხვ.

მთელი მუშაობის შეჯამებას წარმოადგენდა მე-5 საქალაქო პარტკონფერენცია, რომელიც ჩატარდა საღი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

ქუთაისის რაიონში პარტიულ ორგანოების არჩევნები უკვე დამთავრდა. პარტიულ ორგანიზაციებს ახალი ხელმძღვანელი ორგანოები ჰყავთ თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას აქვს საუკეთესოდ შედგენილი ღონისძიებები მუშაობის ახლებურად გარდაქმნისა და პარტმასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მაგრამ კარგი ღონისძიებები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ვაკათებულია. საკითხს სწყვეტენ ცოცხალი ადამიანები, პრაქტიკული შემსრულებლები. და სწორედ ამ ძირეულ ორგანიზაციებში მომუშავე ამხანაგებს, რომელთა უმრავლესობა ახლად დაწინაურებულია, უნდა გვასწავლოთ, ვასწავლოთ დაჟინებით, ყოველდღიურად და სისტემატურად.

გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ პარტიული განათლების ქსელის მუშაობა, რაზედაც ბევრი ილაპარაკეს როგორც საარჩევნო კრებებზე, ისე პარტიულ კონფერენციაზე. შევაიაროთ თვითეული კომუნისტი მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის თეორიით, ვასწავლოთ მათ ჩვენი პარტიის გმირული ბრძოლის ისტორია, რომ არ გაუჭირდეთ მტრის გამოცნობა, რაიც შეიძლებულიც უნდა იყოს ის, დაეუფლოს პარტიის თვითეული წევრი და კანდიდატი ბოლშევიზმს—აი პირველი რიგის ამოცანები, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის წინაშე დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი ყვარელში, სადაც დაიბადა ილია ჭავჭავაძე.
ფოტო დავითაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ილია ჭავჭავაძე სომხურ ენაზე

ხურენ ავჭიანი

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოებთა თარგმნა სომხურ ენაზე.

1893 წ. სიმონ გულამირიანის ჟურნალ „არაქსში“ ჰაი-არმენის თარგმანით დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „მტკვრის პირას“. 1894 წ. ავეტიქ აბასხანიანის თვიურ ჟურნალის „მურჭის“ (ჟრო) ნომერში დაიბეჭდა „კაცია ადამიანი“, ტიგრან ფირუმიანის თარგმანით.

1907 წ. პოეტმა ოვანეს თუმანიანმა სთარგმნა ილიას ორი ლექსი „ელეგია“ და „გაზაფხული“. 1912 წ. იმავე ტიგრან ფირუმიანის თარგმანით ცალკე წიგნად გამოვიდა „გლახის ნაამბობი“.

1929 წ. ახალგაზრდა პოეტმა ხორენ რადიომ სთარგმნა „გუთნის დედა“. გარდა ამისა, ამ 40-50 წლის განმავლობაში აუარებელი წერილები და სურათები დაიბეჭდა სომხურ ჟურნალ-გაზეთებში ილია ჭავჭავაძის შესახებ: „მურჭუში“, „ფოროძი“, „არძაგანქში“, „მშაკში“, „ჰორიზონში“, „ალბიურ“-„ტარაზში“, „ხათაბალაში“, „ჰასკერში“ და სხვაგან..

მაგრამ, რასაკვირველია, ყოველივე ეს საკმარისი არ იყო ილიას მხატვრული სიდიადისა და მისი შემოქმედების სიძლიერის გასაცნობად. საჭირო იყო ი. ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი თარგმანი, რათა სომეხი მკითხველი უფრო ახლოს და ფართოდ გასცნობოდა ამ დიდ ავტორს.

და აი, წელს, ილიას დაბადების 100-წლის იუბილესთან დაკავშირებით სომხური პრესა და სომეხი პოეტები ენერგიულად შეუდგნენ მისი ნაწერების თარგმნასა და გამოცემას. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სომხური გაზეთ „პროლეტარის“ და საბავშვო ჟურნალ „კარმირ წილურის“ მუშაობა ამ ხაზით, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება ფართოდ გააშუქონ ი. ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა და დიდ ადგილს უთმობენ მისი მხატვრული ნაწარმოებების თარგმანებს.

იუბილეს დღისათვის გამოვა, როგორც გაზეთ „პროლეტარის“, ასე ჟურნალ „კარმირ წილურის“ სპეციალური ნომრები, მთლიანად მიძღვნილი ი. ჭავჭავაძისადმი.

გარდა ამისა, ამ მოკლე ხანში საქართველოს სახელგამი გამოსცემს ილიას ჭავჭავაძის ნაწერების სომხური თარგმანების დიდ კრებულს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის რედაქციით. ამ კრებულში მოთავსებული იქნება: „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ (ორივეს თარგმანი ეკუთვნის ტიგრან ფირუმიანს), „თთარაანთ ქვრივი“ (თარგმანი ჰარუთიუნ ძირიმანიანისა), „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „განდეგილი“ (ორივეს თარგმანი სუქიასტოსელ ოვანისიანისა), „ქრისტეფორე ხიმშიაშვილი“ (თარგმანი პოეტმა ჰარუთიუნ თუმანიანმა). გარდა ამ დიდ ნაწარმოებთა კრებულში მოთავსებული იქნება აგრეთვე ილიას 30-მდე რჩეული ლექსი, რომელთა თარგმანიც შესრულებულია პოეტების: ოვანეს თუმანიანის, გეორგ ასატურის, ჰაიარმენის, ვარდან სიმონიანის, სურენ ავჭიანის, ხორენ რადიოს, ივანე ყარაპეტიანის და სხვათა მიერ.

კრებულს დართული ექნება რედაქტორის — პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის წინასიტყვაობა. ილიას ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფიული წერილი.

ილია ჭავჭავაძის ეს კრებული საუკეთესო საჩუქარი იქნება სომეხი მკითხველისათვის.

ილიას იუბილემ გარდა თბილისისა, ფართო გამოძახილი ჰპოვა აგრეთვე სომხეთის პრესაშიაც, სადაც იბეჭდება სურათები, ცნობები, წერილები ილიას შესახებ და მისი ნაწერების თარგმანები სომხურ ენაზე.

თბილისი. ტროლეიბუსი პლეხანოვის პროსპექტზე.

ჩვენ გვწერენ

ბინის ქარი მოუშალეს

26 კომუნარის სახელობის რაისაბჭომ ძველი მუშა, პერსონალური პენსიონერი ამხ. ამბარცუმ აკოფოვი ჩაასახლა პანასეიჩის ქ. № 50-ში, რომელსაც ეზოში გასასვლელი კარი ჰქონდა.

ეს არ ესიამოვნა მის მეზობელს, მოქ. იოსებ ხმალაძეს, რომელმაც გადაწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა, მოეშალა ეს ეზოში გასასვლელი კარი.

შეუდგა კიდეც საქმეს.

სახლთა ტრესტმა დაიწყო ამ სახლის კაპიტალური რემონტი. ხმალაძემ მითითებით გვნებრახეს აკოფოვის დარბაზის კარის მოშლა. სახლთა ტრესტის მშართველის თანაშემწემ ამხ. ტოროშელიძემ სახლის რწმუნებულს მისწერა, რომ ეს კარი დაეტოვებინათ. ასეთივე შინაარსის წერილს გზავნის მთავარი ინჟინერი ყურუღოვიც, მაგრამ ხმალაძე არავის უგდებს ყურს და აკოფოვის კარის ადგილას თავის, შუაბანდს აკეთებს.

სამუშაოს ხელმძღვანელობს ტრესტის ინჟინერი ტორჩინავა, მაგრამ ის არ ემორჩილება თავისი უფროსების განკარგულებას.

საქმეში ერევა რაიონული საბჭო. იგი ოფიციალურად სწერს სახლთა სამმართველოს, რომ აკოფოვს დაუტოვონ ეზოში გასასვლელი კარი, მაგრამ ხმალაძე იმარჯვებს, რადგან ინჟ. ტორჩინავა მის მხარეზეა.

ამხ. აკოფოვს კი შარშანდელს აქეთ ხან მილიციაში ჰყავიან, ხან სასამართლოში, რადგან შუაბანდის დანგრევა ხმლოდ სასამართლოს შეუძლიაო. კარი ხმალაძეს სურვილით მოშალეს, შუაბანდის აღებას კი სასამართლოს დადგენილება სჭირდება თურმე. უცნაური ამბავია!

ბოლოს და ბოლოს, ასე იქნება თუ ისე, საჭიროა ამხ. აკოფოვს კვლავ მიეცეს ეზოში გასვლის საშუალება.

ნ. იტრიშვი
თბილისის საბჭოს წევრი

სპახანოველს უსულგულოდ ეპყრობიან

თოდრიას ქუჩაზე (კიროვის რაიონი) მდებარე № 17 სახლის სამეულმა, მცხოვრებთა თანხმობით, სახლში ქუჩიდან შესასვლელი გააუქმა. შესასვლელის გაუქმებით სახლს ორი სათანადე ფართობი შეემატა. ერთი მათგანი კელაურიძეს მისცეს იმ პირობით, რომ თავის ხარჯზე მოეწყო ოთახად. კელაურიძე დიდი სახარულით ჩასახლდა. ეს მოხდა 1933 წ.

ამ დროს კელაურიძემ მუშფაკი დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ამხ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. იმჟამად ეს ქარხანა სტახანოველიც.

შორიან მან დააპირა თავისი თანხით და ქარხნის დირექციის დახმარებით თავისი ბინის კეთილმოწყობა, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს. 1936 წ. 18 ივლისს მისი თანამშრომლის ცვირთაძე ჭეჭანიშვილმა „თავისი“ ბინა მოქ. ილია მაჩაბელს „ჩააბარა“. მაჩაბელმა შესვლისთანავე გამოანაძრია გვერდის კედელი, კელაურიძის ბანისაკენ (კელაურიძე ამ დროს სამუშაოზე იყო), კედელში კარი ჩასვა, ხოლო კელაურიძის ბარგი გარეთ გამოჰყარა.

ამგვარად, თავიდანვე მაჩაბელმა სტახანოველი შუშის ბინა მისაკუთრა, კელაურიძე ღია ცისქვეშ დარჩა.

კელაურიძე ამ ბინაში 1933 წლიდან ცხოვრობდა და ქირას დღესაც იხდის, ხოლო ბინით მაჩაბელი სარგებლობს. კელაურიძე სამართლიანად მოითხოვს მაჩაბლის ასეთი თვითნებური მოქმედების აღკვეთას, მაგრამ, ეტყობა, ეს მანამდის არ მოხდება, სანამ საქმეში რესპუბლიკის პროკურორი არ ჩაერევა.

გ. ბენაძე

საღაა მშრალებელში ხელფასი?

თელავის რაიონში წერა-კითხვას უცოდინარობასთან და მცირემცოდნეობას სალიკვიდაციო სკოლათა მასწავლებლებს გასული წლის ოქტომბრიდან ხელფასი არ მიუღიათ. დავალიანება 20.000 მანეთზე მეტს უდრის. მასწავლებლები დადიან განცხადებებით განათლების განყოფილებაში, თბოულობენ კუთვნილ ხელფასს, მაგრამ განათლების განყოფილებას საამისო თანხები არა აქვს.

თავის მხრივ, განათლების განყოფილების მუშაკები დადიან რაიფინანში, მოითხოვენ მასწავლებელთა ხელფასის დავალიანების დაფარვას, ხოლო ფინანსის ხელმძღვანელები ყოველთვის ასეთ პასუხს იძლევიან:

„რა ვქნათ, ფინსახკომი თანხების გაცემის ნებას არ გვაძლევსო“.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ნუთუ პარტიის და მთავრობის დირექტივები საქფინსახკომის აპარატს არ შეეხება?

მოვითხოვთ დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს ლიკსკოლების მასწავლებელთათვის ხელფასის მიცემის გაჭიანურების ასეთ მავნე პრაქტიკას.

საჭიროა რესპუბლიკის პროკურორმა მიიღოს სათანადო ზომები.

შ. ოკრაგველიძე

„სამანიშვილის დედინაცვალი“

შალვა ღამბაშიძე
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

შარხალიშვილის სახელობის თეატრს ქართული კლასიკურ დრამატურგიასა და ლიტერატურაზე მუშაობას საკმაო გამოცდილება აქვს. ა. ცაგარელს, ზ. ანტონოვს, ი. ჭავჭავაძეს, გ. ნანიშვილს სპატაკი ადგილი უჭირავთ ჩვენს რეპერტუარში. უკანასკნელად ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ დავით კლდიაშვილზე და განვიზრახეთ მისი „სამანიშვილის დედინაცვლის“ ინსცენირება (მოთხრობა პირველად გადაკეთდა ჭ. გელეიშვილმა).

რატომ შეგაჩერეთ ხელი დ. კლდიაშვილს?

ჩვენ ვფიქრობთ, ეს საკითხები, რომლებსაც დ. კლდიაშვილი ეხება თავის მოთხრობებში, არ არის მარტო კუთხური ამბავი, არამედ გამოხატავს სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას მთელს მაშინდელ საქართველოში. თავად-აზნაურობის ეკონომიური და ზნეობრივი დეგრადაცია, როშელიც, დ. კლდიაშვილის ნაწერების დედა-აზრს შეადგენს, დამახასიათებელი იყო არა მარტო ამერეთისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის.

აქედან ჩვენ მიზნად დავისახეთ მწერლის გამოყვანა ვიწრო ფარგლებიდან. ამიტომ უარყოფით ეარგონი, გადაჭარბებული იმერული კილო. ჩვენ ვცდილობთ ყოველი მსახიობი დამაჯერებელი იყოს, ამის მიღწევა კი შეიძლება, თუ ყოველი სიტყვა გახდილი და ნაგრძნობია მის მიერ, წიხაღმდეგ შემთხვევაში სცენიდან გადმოსროლილი ცალიერი სიტყვა არ მიეცა მაყურებლამდე.

„სამანიშვილის დედინაცვლის“ დადგმით ჩვენ ვაგრძელებთ რეალისტურ ხაზს ჩვენს თეატრში. მთავარია ლერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს პიესის მოქმედება, ეს არის მიწის ნაკლებობა, კერძო საკუთრება მიწაზე, რომელიც ათასგვარ სისაძაგლეს წარმოშობს, ბორკილმოქმედებას ჩაადენინებს ადამიანს. დღეს, როდესაც საკოლმეურნეო წყობილებამ მოსპო ყველაფერი ეს, როდესაც სოფელ სტკბება შემლებული, სამოური ცხოვრებით, ჩვენ ჩვენი დადგმით გვინდა გავარკნობინოთ მაყურებელს კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოების მთელი საშინელება.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ ჩვენს მიერ გაგებულია, როგორც ტრაგიკომედია. პლატონ ჩვენ გამოგვყავს როგორც ნამდვილი ტრაგიკული ფიგურა. ამასთანავე ეს ტიპი ბევრ ადამიანში ცოცხლობს. ის ხომ ბრძენი ადამიანია, ის ხომ ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ესმის, ყველაფერი ესმის, ყველაფერი ეცოდინება, მაგრამ ის ხომ ბრმა და ყრუა, ის ხომ ვერაფერს ხედავს, ვერაფერს ესმის, ვერაფერი ეცოდინება, ის ხომ ბრმა და ყრუა, ის ხომ ბრმა და ყრუა, ის ხომ ბრმა და ყრუა.

თერაპევტთა საკავშირო ყრილობა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა თერაპევტთა XII საკავშირო ყრილობის დადგენილება და საქართველოს ჯანსაბკომის შუამდგომლობა თერაპევტთა XIII საკავშირო ყრილობის თბილისში მოწვევის შესახებ.

სახკომსაბჭომ დაადგინა, ამ მიზნით 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვის ხაზით გათვალისწინებულ იქნას ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის 200 ათასი მანეთი.

ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტში საქართველოს წარმომადგენლებად დამტკიცებული იქნან შემდეგი პირები: პროფ. ა. ს. ალადაშვილი, ნ. ა. ყიფშიძე, ქ. ვ. ცომაია, გ. ს. ვაწაძე, ს. პ. კანდელაკი, მ. წინამძღვარიშვილი, შ. მიქელაძე, ექ. სოსიანი, დოც. ნ. გეგეჭკორი, ექ. ვ. მაიზელისი და პროფ. ი. აბაკელია.

ცირკში

სეზონის დახურვა

13 მაისს დაიხურა საბელმწიფო ცირკის სეზონი. ამ დღეს ჰიდაობდნენ: ვერდენი—ბურევოი, ბაბალიკაშვილი—ბაშკიროვი, მაჩაბელი—ზაგორუევი და ყარა მუსტაფა—ფრანც გუდი.

ვერდენმა წააქცია ბურევოი, ბაბალიკაშვილმა—ბაშკიროვი, მუსტაფამ—გუდი, მაჩაბელმა და ზაგორუევის ოცწუთიანი შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა.

დასასრულ, გამოაცხადეს ფრანგული პროფესიული ჭიდაობის მატჩების შედეგები: პირველი ადგილი გაიყვეს ბაბალიკაშვილმა და ყარა-მუსტაფამ, ბაბალიკაშვილს აქვს 25 გამარჯვება, 14 ყარამუსტაფას—22 გამარჯვება, 14 ყაიმი და ორი დამარცხება.

მეორე ადგილზე გამოვიდა ფრანგული ჭიდაობის საუკეთესო ოსტატი ნ. ვერდენი, მესამეზე—გ. ბურევოი, მეოთხე ადგილი დაიჭირა ვ. გომოზოვმა.

კონკურსს გარეშე მონაწილე მოჭიდავეებიდან პირველ ადგილზე გამოვიდა ვ. ბაბალიკაშვილი, მეორეზე პ. ზაგორუევი, მესამე ადგილი დაიჭირა ამერიკელმა მოჭიდავემ ფრანკ გუდმა.

მინერალური წყაროების შესწავლა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ წიხადადება მისცა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ამ ზოგხაზს მიავლინოს სამეცნიერო-საკვლევი ბრიგადა ყაზბეგის რაიონის მინერალური წყაროების სამკურნალო თვისებათა შესასწავლად.

მხეცური მკვლელობა

10 მარტს ღამით საბურთალოს რაიონში იპოვეს შეკრული ტომარა, რომელშიაც აღმოჩნდა მამაკაცის დაჩეხილი გვამი; ვეძებ მოკვლილი ჰქონდა ხელები და ფეხები. გვამის სასამართლო-სამედიცინო შემოწმებამ გამოარკვია, რომ უცნობი მოქალაქე ჯერ დაუხრჩიათ და შემდეგ ხაწილ-ხაწილ აუკუწავთ იმ მიზნით, რომ უფრო ადვილად და შეუმჩნეველად გამოეტანათ ბინიდან.

11 მარტს დილით მოლოკანთა ქუჩაზე № 22 სახლის ეზოში იპოვეს გაზეთში შეხვეული ამ გვამის ორივე ხელი და მარჯვენა ფეხი, იმავე დღეს თბილისის სადგურის მეზავრთა მოსაცდელ ოთახში იპოვეს ვიღაცას მიერ დატოვებული სურსათის ძველი კალათა, რომელშიაც აღმოჩნდა ქაღალდში შეხვეული უცნობი გვამის მარცხენა ფეხი.

გვამის ვინაობა მალე გამოარკვიეს. ზოკლული აღმოჩნდა მოქ. ვ. ს. გოგიშვილი, პროფესიით მხატვარი. უკანასკნელ დროს გოგიშვილი მოდელისტად მუშაობდა მეორე სამკერვალო ფაბრიკაში.

სისხლის სამართლის მილიციამ დაიწყო ამ საქმის გამოძიება, გამოძიების შედეგად ამ მკვლელობაში ეჭვი დაედო ზაჭარია მამალაშვილს—პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტს. მამალაშვილის ბინაში მოახდინეს ჩხრეკა და იქ აღმოჩნდა სისხლის კვალი და სხვა დამამტკიცებელი საბუთები. მამალაშვილი დააპატიმრეს და ის ჯამატყობა დანაშაულში.

მამალაშვილის ჩვენების თანახმად მოქ. გოგიშვილის მკვლელობა მან ჩაიდინა შემდეგ პირობებში: 9 მარტს გვიან ღამით მამალაშვილთან მივიდა (ახალშენის მეორე შესახვევი № 25) მისი ნაცნობი ვ. გოგიშვილი და სთხოვა მას ნება მიეცა მასთან დარჩენილიყო ღამის გასათევად. მამალაშვილმა შემოუშვა გოგიშვილი, მაგრამ შემდეგ მათ შორის ასტყდა ჩხუბი, რომლის დროსაც მამალაშვილმა დაახრჩო ვლადიმერ გოგიშვილი. ვინაიდან უკვე თენდებოდა და მკვლელს არ შეეძლო გვამის ბინიდან გამოტანა, მან აიძრო იატაკის რამდენიმე ფიცარი და იატაკქვეშ დამალა გვამი. საღამოს მოკლულ გოგიშვილს მოსპრა ხელები და ფეხები, სხეული ტომარაში ჩასდო, გამოიტანა სახლიდან და ახალშენის ქარხანაზე დასტოვა; მეორე დღეს წაიღო და მოლოკანთა ქუჩაზე დასტოვა ორივე ხელი და ფეხი და იმავე დღეს ჩასდო დარჩენილი ერთი ფეხი სურსათის კალათაში, გაიტანა სადგურზე და იქ მიატოვა.

როგორც ამ მხეცური მკვლელობის თანამონაწილე, პასუხისგებაშია მიცემული ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი რ. დ. მხეიძე.

გოგიშვილის მკვლელობის საქმის გამოძიებამ დამთავრებულია. ახლო ხანში მკვლელები წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

ახალი ამბები

○ დღეს კონსერვატორიის დარბაზში შესდგება საჭენებელი კონცერტი პროფ. ო. შულგინის კლასისა.

○ საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა გადადის საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

○ ქალაქის კომენდანტი ატყობინებს, რომ დღეს, 15 მაისს, მღვიმის ტბების რაიონში იქნება საარტილერიო სროლა.

○ დამთავრდა კოჯრის გზატკეცილის პირველი კილომეტრის (დავითაშვილის ქუჩიდან კომკავშირელთა ხეივნამდე) გაფენა. გზის გასწვრივ დარგულია ნორი ხეები.

○ 10 მაისისათვის საქართველოში მოკრეფილი იყო 2.510.585 კილოგრამი ჩაის შრეული ფოთოლი.

რედაქციისაგან

„კომუნისტის“ ჯუშინდელ ნომერში მოთავსებულ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში ამხ. პავლე ტატანაშვილი, ტექნიკური დაუდევრობით, ორჯერ არის მოხსენებული, ხოლო შეცდომით გამოტოვებულია ამხ. კონსტანტინე დემეტრაძე.

„პრავდის“ მოწონების „გვიყვარდეს და ვიცოდეთ ბოლშევიზმის ისტორია“ — მეოთხე სექტის პირველი აბზაცის უკანასკნელ სიტყვა უნდა იკითხებოდეს: „ამ ისტორიის კონსტანტინე დემეტრაძე.

პარტკალენდარი

ლ. კიეხოველის სახელობის პროფესიონალური ტექნიკის და ლიტერატურის საპრესტი

პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა (ყველა ჯგუფის დასწრება სავალდებულოა) 2 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა კავშირში სამოქალაქო ომის ისტორიის“ პირველი ტომის სამოქალაქო ომის ისტორიის თემებისათვის—რუსული ენაზე. დაწყების საათი 8 საათზე.

17 მაისს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა თემაზე: „ამხანაგ სტალინის წერილი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის საბჭოთა მეცნიერებაში“.

ხაქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი, № 1535859, გაცემული მახარაძის რაიკომის მიერ გაბრიელ დიომიდეს-ძე დარჩიას სახელზე, ფაკარგულია და ჩათვალოს გუაქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ზ. ბუაძიშვილი.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

15-V	იცქა რიჭინაშვილი
17-V	იცქა რიჭინაშვილი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-35	ხმოვანი ფილმი დარიო ქართულ ენაზე
დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45	ვადგმია მე 3 კვირა ხმოვ. სურათი ვარინკზის ველი
კომკავში რელი 6-30, 8-30, 10-30	(სახაუზ. და სახამთრო) ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე დარიკო
რ. ლიუქსხახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვ. სურ. ქართულ ენაზე ვარინკზის ველი
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვ. ფილმი ქართულ ენაზე დარიკო
ახალი ამბები.	ახალი პროგრამა ხმოვ. ჟურნალები №№ 18, 19 და 20
კომენტარი (სახაუზულო)	ხმოვანი ფილმი ვარინკზის ველი

საქ. სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია ამით აცხადებს 1935/36 ს. წ. და ადრე კურსდამთავრებულთა საუურადღებოდ, რომ მათ უფლება აქვთ ჩააბარონ სახელმწიფო გამოცდები ა/წ. ივნისის სესიის დროს 15/VI-დან 1/VII-მდე.

ინსტიტუტის დირექტორი: რექტორი პროფ. ა. ბუაჩიძე.

1086

სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ქალაქის სამმართველო აცნობებს

ყველა იმათ, ვინც წინათ მუშაობდა სახბანკის საქართველოს კანტორაში და ოიიმე მიზეზით არ მიუღია მე-2 ხუთწლედის სესხის (მე-4 წლის გამოშვების) და წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციები,—გამოცხადდნენ სესხთა ობლიგაციები—სახბანკის საქართველოს კანტორის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა კიროვის სახელობის რაიშემნახველო სალაროში № 3528 წარსადგენად, რათა იქ მიიღონ უკანასკნელი სესხის ობლიგაციები და წინანდელ მასობრივ სესხთა გადასაცვლელი ობლიგაციები. სესხმფლობელნი, რომელთაც ხელზე ობლიგაციები არ ექნებათ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

ვინც მეორე ხუთწლედის სესხის (მე-4 წლის გამოშვების) თავის ობლიგაციებს არ მიიღებს 1938 წლის 1-ლ ივნისამდე, აგრეთვე ვინც წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციებს 1937 წლის 1-ლ სექტემბრამდე არ გადასცვლის, ამ ვადების შემდეგ სავსებით ჰკარგავს მათი მიღების უფლებას.

ქალაქის სამმართველოს უფროსი: ციმაკურიძე.
მთავარი ბუხჰალტერი: იაშვილი.

1084

ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1 ამხანაგ სტალინის სახელობისა

აუქციონი

ყველა იმათ, ვინც წინათ მუშაობდა ფაბრიკაში და რაიმე მიზეზით არ მიუღია მე-2 ხუთწლედის სესხისა (მე-4 წლის გამოშვების) და წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციები,—გამოცხადდნენ ფაბრიკის ბუხჰალტერიაში—მიასნიკოვის ქ., № 84, და მიიღონ ცნობა—კიროვის რაიშემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და უკანასკნელი სესხისა და წინანდელ მასობრივ სესხთა გადასაცვლელი ობლიგაციების მისაღებად. სესხმფლობელნი, რომელთაც ახალი ობლიგაციები ხელზე არ ექნებათ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ. ვინც მე-2 ხუთწლედის უკანასკნელი სესხის (მე-4 წლის გამოშვების) თავის ობლიგაციებს 1938 წლის 1-ლ ივნისამდე არ მიიღებს, აგრეთვე ვინც წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციებს 1937 წლის 1-ლ სექტემბრამდე არ გადასცვლის, ამ ვადების შემდეგ ჰკარგავს მათი მიღების უფლებას. 1075

ჩაის მეურნეობის საქ. სამეც. კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1937 წლის 18 მაისს, დღის 12 საათზე, ინსტიტუტის სამეცნიერო აუდიტორიაში დანიშნულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომას დაიცავს ამხ. მ. ლ. ბზიავა თემაზე „სახამთრო სიდერატები ჩაის მეურნეობაში“

ოპონენტებად გამოყოფილი არიან პროფ. გ. ვ. ხაფავა და დოქტორი ი. ი. ოზერკოვსკი.

შრომის გაცნობა შეიძლება პროფ. ე. ვ. ხაფავასთან.

ს/მ. ს. მ. ს. ინსტ. დირექტორი ა. გოგნელიშვილი.

ჭალაჭი მახარაძე—ანასეული. 17026

ზოოვეტერინარო-სანიტარიული ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ინსტიტუტის მეორე კორპუსში (მარის ქ. № 15, ტრამვაის მარშრუტი № 5) შესდგება საჯარო პაექრობა სას. სამ. მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

1) 17/V-37 წლ. საღამოს 7 საათზე, ლექტორი ნ. ფირანიშვილი

თემაზე: „საქართველოში ცხვრისა და ძროხის რძიდან როკფორის ყველის კულების ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა“.

ოპონენტი პროფ. ქომეთიანი.

ასისტენტი გ. შენგელია თემაზე: „რძის დაკონსერვება წყალბადის ზეჟანგით და მისი გავლენა ცხოველის ზრდა-განვითარებაზე.

ოპონენტი პროფ. ქომეთიანი.

2) 18/V-37 წლ. დილის 12 საათზე, ლექტორი ჰ. გეგენავა

თემაზე: „კამეჩის კვების ნორმირების საკითხისათვის“

ოპონენტი პროფ. ი. ჯანდიერი.

დოცენტი ა. ალაბელი თემაზე: ფურ-კამეჩების მერძეული პროდუქტიულობა აზერბეიჯანში“.

ოპონენტი უფრ. მეცნ. მუშაკი—შ. აბულაძე.

3) 19/V-37 წლ., საღამოს 7 საათზე, ასისტენტი ჭ. გოჩიტაშვილი

თემაზე: „ზოგიერთი ბიოლოგიური დაკვირვება ჯიხვებზე, ჯიხვთხებზე და ოხებზე“

ოპონენტი პროფ. დ. აგლაძე. ნ. მელითაური თემაზე: “თოხლების ხუჭების ცდა“

ოპონენტი პროფ. ნ. ჯაფარიძე.

17030 დირექტორი ხ. თოხაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ 1937 წლის 19 მაისს, საღ. 7 საათზე, უნივერსიტეტის კლუბში (მარის ქ., № 1) გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ი. რ. ქახაძე დაიცავს მინერალოგიურ-გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომას: „დახავლეთ საქართველოს ბაიოსურის ამონიტები“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ., დოქტორი ა. ჯანელიძე, პროფ., დოქტორი ლ. დავითაშვილი.

იქვე, ამავე დღის საღ. 9 საათზე, გეოლოგიური ინსტიტუტის უფ. მეც. თანამშრომელი ჯ. ღ. გამყრელიძე მინერალოგიურ-გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს სადისერტაციო შრომას: „ორიალეთის ქედის ჩრდილო-დახავლეთი ნაწილის გეოლოგიური აგებულება“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. დოქტორი ა. ჯანელიძე, პროფესორი კ. გაბუნია.

შრომების გაცნობა შეიძლება გეოლოგიურ ინსტიტუტში (მარის ქ., № 1, მე-3 სართული).

1083 თ. ხ. უ. რექტორის მაგიერ ა. ჯანელიძე.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი

გამოფენისათვის, რომელიც იმართება ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავად

იძენს ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფებს, სურათებს, მის ნაქონ ნივთებს, აგრეთვე ძველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ხელნაწერებს, და ყოველგვარ სამუზეუმო მასალებს.

გამოფენის მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, № 13, სამხატვრო გალერეის შენობა. ტელეფონი № 3-62-64.

მასალების მოწოდება და პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე დილის 11 საათიდან დღის 4 საათამდე, საღამოს 7 საათიდან 11 საათამდე.

მიმართეთ ამხ. თამარ ოქროშიძეს. 1079

საქ. სას.-სამ. ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 19 მაისს საღამოს 8 საათზე შესდგება ინსტიტუტის საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც სადისერტაციო შრომებს დაიცავენ:

1. დოც. ვ. ბოფერია თემაზე: „ზემოსვანეთში გამოყენებული ორიგინალური ს.-ს. იარაღების კონსტრუქცია და გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების გამოყენების პირობების შესწავლა“. ოპონენტი პროფ. კ. ამირეჯიბი.

2. დოც. ა. კიხირია თემაზე: „მცენარეთა დაცვის მანქანების ტექნოლოგიური შეფასება“. ოპონენტი ი. ყიფშიძე.

3. დოც. გ. ჯაფარიძე თემაზე: „მებოსტნეობა საქართველოში“. ოპონენტი პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი.

4. ასპირ. გ. ქეშელაშვილი თემაზე: „მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში გავრცელებული სარეველა მცენარეები“. ოპონენტი პროფ. დ. გედევანიშვილი.

შრომების გაცნობა შეიძლება პროფ. კ. მოდებაძესთან.

1085 სას.-სამ. ინსტ-ის დირექტორი პროფ. ან. ბუაჩიძე.

საქართველოს მინსახკომის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი აცნობებს ყველა იმათ, ვინც წინად მუშაობდა ტრესტში და ახლადშექმნილ საბჭოთა მეურნეობაში და რაიმე მიზეზით არ მიუღია მე-2 ხუთწლედის სესხისა (მე-4 წლის გამოშვების) და წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციები,—გამოცხადდნენ ტრესტის ბუხჰალტერიაში—ლენინის ქ. № 30, და მიიღონ ცნობა—ორჯონიკიძის რაიშემნახველ სალაროში № 3525 წარსადგენად და უკანასკნელი სესხისა და წინანდელ მასობრივ სესხთა გადასაცვლელი ობლიგაციების მისაღებად. სესხმფლობელნი, რომელთაც ახალი ობლიგაციები ხელზე არ ექნებათ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ. ვინც მე-2 ხუთწლედის უკანასკნელი სესხის (მე-4 წლის გამოშვების) თავის ობლიგაციებს 1938 წლის 1-ლ ივნისამდე არ მიიღებს, აგრეთვე ვინც წინანდელ მასობრივ სესხთა ობლიგაციებს 1937 წლის 1-ლ სექტემბრამდე არ გადასცვლის, ამ ვადების შემდეგ ჰკარგავს მათი მიღების უფლებას. 1082

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პრ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის